# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



სამშაბათი, 6 დეკემბერი, 2011 წელი.

№229 (6860)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## წინასაარჩევნო ბრახაბრუხი ზუგდიდში

3



მიხეილ ხუროთმოძღვარმა ზუგდიდი გააკლასიკა, – ლაზური სული შთაბერა და დაათუმნა ლაზიკა...

## არასაგაზეთო და საგაზეთო ჩანაწერები

7



### სს „ბანკი ქართუს" ხელმძღვანელობის განცხადება

## ჩვენ წინააღმდეგ ხორციელდება პოლიტიკურად მოტივირებული სახელისუფლებო ტერორი

**საქართველოს** საბანკო სისტემის ერთ-ერთი წამყვანი კომერციული ბანკის ირგვლივ შექმნილია უაღრესად შემაშფოთებელი სიტუაცია.

გასული კვირის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ განახორციელა უპრეცედენტო სადამსჯელო ოპერაცია, როდესაც ორი-სამი დღის განმავლობაში ოთხ ბიზნეს-ჯგუფს (14 იურიდიული და ფიზიკური პირი) 100 მლნ ლარის ღირებულების ქონება დაუყადაღა; ამით, ფაქტობრივად, არაუზრუნველყოფილი დატოვა სს „ბანკი ქართუს" 70 მლნ ლარის საერთო მოცულობის საკრედიტო ვალდებულებები, რაც ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელის თითქმის 20 პროცენტია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმ კომპანიების ქონებაზე, რომლებზეც საგადასახადო ორგანოს არ შეეძლო ძველი რიცხვით (სს „ბანკი ქართუს" პირველადი იპოთეკის რეგისტრაციამდე) „აღმოეჩინა" საგადასახადო დავალიანება (მაგ. კომპანია ახალი დაფუძნებულია), გასულ დღეებში დაჩქარებული წესით განხორციელდა ხსენებული კომპანიების ქონების განვადებით გასხვისება ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც შემდგომში „აღმოუჩინეს" ან ჰქონდათ საგადასახადო დავალიანება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნასყიდობის ფასი არც ერთი ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი არ არის და ის მყიდველმა უნდა გადაიხადოს მომავალში (მაგ. ერთი წლის შემდეგ). ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები თვალთმაქცურია და ისინი დაიდო მხოლოდ სს „ბანკი ქართუს" განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფინანსური ზარალის მიყენების მიზნით. ფაქტია ის გარემოებაც, რომ ხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმდა ბიზნეს-ჯგუფებში შემავალ კომპანიებს შორის.

ასევე ჩვენთვის ცნობილია, რომ გასულ კვირას ბანკის უმსხვილესი მსესხებელი ბიზნეს-ჯგუფის აქციონერმა მიაღწია შეთანხმებას ერთ-ერთ პირთან 2012 წლის მარტიდან იმ ქონების მიქირავებაზე, რომელიც მან მოლაპარაკებამდე გაასხვისა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და რომლის რეალიზაციაც უახლოეს დღეებშია დაგეგმილი საჯარო აუქციონზე სახელმწიფოს სასარგებლოდ. ზემოთ აღნიშნული ფაქტი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს იმაზე, რომ ხსენებულ აქციონერს „ჩამორთმეული" ქონების უპირობო დაბრუნების იმედი აქვს.

სამწუხაროდ, რეალობად იქცა ჩვენი საფუძვლიანი ეჭვები, რომ „სააღსრულებო წარმოების შესახებ" კანონსა და „საგადასახადო კოდექსში" ბოლო პერიოდში შეტანილი ცვლილებები, რომლებზეც არც საქართველოს ეროვნულ ბანკს, არც საბანკო სისტემის რომელიმე სუბიექტს და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, საქართველოში მოქმედ არც ერთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს არანაირი რეაქცია არ ჰქონია, გამოყენებული იქნებოდა სს „ბანკი ქართუს" წინააღმდეგ პოლიტიკურად მოტივირებული ანგარიშსწორებისთვის.

ბანკის ინკასაციის მანქანის დაყაჩაღებამ და დიდი ოდენობით თანხის კონფისკაციამ, კლიენტებზე ფართომასშტაბიანმა ზემოქმედებამ, რამაც ბანკიდან 45 მლნ ლარის გადინება გამოიწვია, საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან ბანკის ადმინისტრაციაზე პირდაპირმა და პერმანენტულმა ზეწოლამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო; ამიტომაც ხელისუფლება გადავიდა აშკარა ეკონომიკურ ტერორზე, რათა ფინანსურად ყველაზე უზრუნველყოფილ ბანკს იძულებით დაარღვევინოს საზედამხედველო ნორმატივები და დაუნიშნოს, ხელისუფლებისთვის ასე სასურველი, დროებითი ადმინისტრაცია.

ბანკი აფრთხილებს შესაძლო მყიდველებს, არ მიიღონ მონაწილეობა ისეთი სახის აუქციონებში, სადაც სს „ბანკი ქართუს" პირველი რიგის იპოთეკის მიუხედავად ხორციელდება ბანკის მსესხებლების ქონებათა გასხვისება საგადასახადო ვალდებულებების შესასრულებლად და უნებლიეთ არ გახდნენ ხელისუფლების უსამართლო ქმედებების თანამონაწილე.

სს „ბანკი ქართუს" ხელმძღვანელობა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ბანკის მიმართ სადამსჯელო ოპერაციები და საქართველოს ეროვნულ ბანკთან ერთად მოგვცეს საშუალება, კეთილსინდისიერად ვემსახუროთ ქვეყნის ეკონომიკასა და ქართველ საზოგადოებას.

მივმართავთ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ საბანკო დაწესებულებებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და, უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლობებს საქართველოში: ახლა მაინც, როდესაც დღესავით ნათელი გახდა სს „ბანკ ქართუს" წინააღმდეგ მიმართული და პოლიტიკურად მოტივირებული სახელისუფლებო ტერორი, ხმა აიმაღლონ უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

6



## რეფორმების ექსპორტიორი ქვეყანა ვართ!

## უმუშევრობის პრობლემას თბილისი რეალითი შოუდ აქცევს

8



სულიერება

# ილია მეორემ მშობლების მოხუცებულთა თავშესაფარში მიყვანის მიუღებლობაზე იქადაგა



## „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა"...

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მშობლების მოხუცებულთა თავშესაფარში მიყვანის მიუღებლობაზე იქადაგა.**

მისმა უწმინდესობამ სამების საკათედრო ტაძარში წირვა აღავლინა და სულიერ ფასეულობებზე, მშობლების სიყვარულსა და პატივისცემაზე, ასევე ეკლესიაში სიარულის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ძნელია, წარმოიდგინოს ადამიანმა, რომელიც მთელი სიცოცხლე თავის შვილებს ემსახურებოდა და ზრდიდა, რომ შვილები მშობელს მოხუცებულთა სახლში წაიყვანენ. ე.ი. თვითონ აღარ უნდა მოვლა, მაგრამ იმათ უნდა იცოდნენ, რომ როგორც თვითონ მოექცევიან თავის მშობლებს, ისე მათი შვილები მოექცევიან მათ. ამიტომ, მე არაერთხელ მითქვამს, ადამიანის ბედნიერებისთვის პასუხი გვაქვს ათი მცნებიდან: „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ", — ბრძანა პატრიარქმა.

რევიზიის ცდა

# რეფერენდუმის გადაწყვეტილებას ნუ ვეთამაშებით!



**ამა წლის 30 ნოემბერს ბათუმში შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობის ფონდის ეგიდით, აჭარაში მოქმედი არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, სხვა დაინტერესებულ პირებთან შეხვედრა მოეწყო, რომელშიც საქართველოს პარლამენტის წევრებიც მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის თაობაზე". გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილება — საქართველოს პარლამენტის შემადგენლობა 150-დან 190 დეპუტატამდე (107 პროპორციული, 83 — მაჟორიტარი) გაიზარდოს.**

კანონპროექტის განხილვაში მეც, როგორც არასამთავრობო გაერთიანების ხელმძღვანელი და „ქართული აკადემიის" აჭარის წარმომადგენლობასთან შექმნილი უხუცესთა სათათბიროს წევრი ვმონაწილეობდი. საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს გავაცნოთ ჩემი მოსაზრება ამ პროექტთან დაკავშირებით.

კიდევ ერთხელ საჯაროდ ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების და დეპუტატთა შემადგენლობის 150-დან 190-მდე გაზრდას ითვალისწინებს, ეწინააღმდეგება 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმის გადაწყვეტილებას. რომ რეფერენდუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების, საქართველოს პარლამენტის ან ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით შეცვლა გამორიცხულია. სამწუხაროდ, უნივერსიტეტში გამართული შეხვედრის მიზანი პირიქით იყო. არ შეიძლება ცალკეული პარტიის, პოლიტიკური ლიდერისა თუ თუნდაც ქვეყნის ხელმძღვანელის ინტერესს, დემოკრატიული ღირებულებები შეეწიროს, ხალხის, ანუ რეფერენდუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას ისევ რეფერენდუმი ჭირდება. აქ სხვა, ყოველგვარი მანიპულაცია გამორიცხულია.

იქვე დაუფარავად ისიც ითქვა, რომ ასეთი შეხვედრებით, რა დონეზეც არ უნდა გაიმართოს, რეფერენდუმის გზით მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის მცდელობაც კი შეცდომა და არადემოკრატიული ნაბიჯი გახლავთ. ამ პრეტენზიებს გულდასმით საქართველოს პარლამენტის წევრები ნუგზარ წიკლაური, გიორგი ახვლედიანი და გურამ ჩახვაძე ისმენდნენ. ისინი ცდილობდნენ წარმოუდგენელი პროექტისათვის გამართლება მიეცათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. იმიტომ რომ მათ ანტიკონსტიტუციური მისიის შესრულება მოუხდათ. ისინი დაპროგრამებული იყვნენ, ისეთი ვერსიების მტკიცებებით, რომლებიც დამსწრე საზოგადოებისათვის მიუღებელი იყო. მათ ვერ შეძლეს და ამას ვერც ვერავინ შეძლებდა. ცესკომ 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული პროპორციული წესით არჩევნების შედეგების გაუქმების დროს, რეფერენდუმის შედეგები არ გააუქმა, ხოლო მაჟორიტარული წესით არჩევნების შედეგებიც ძალაში დატოვა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის საფუძველი გახდა. ახლა კი, ხელისუფლებამ ამის რევიზია წამოიწყო. პიროვნებათა ჯგუფის მიერ კულისებში მიღებული ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილების განსახორციელებლად ორგანიზაციები ვიწრო შეხვედრებზე რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების შესაცვლელად იღვწიან.

შეხვედრაზე პრინციპულად ითქვა, რომ ასეთი შეხვედრები და კანონის პროექტის საჯაროობის ნიღაბით კულუარული განხილვებით პოლიტიკურ ჩიხში შესული ხელისუფლება გამოსავალს ვერ იპოვის. მათ უმთავრესი ავიწყდებათ — ამით ილახება ხალხის უფლებები, რადგან ხელისუფლების ქმედება ანტიკონსტიტუციურია, რასაც არც ხალხი და არც ჩვენი მეგობარი ქვეყნების ხელისუფლებები არ მოიწონებენ. მსგავსი ქმედებები ხელს შეუშლის საქართველოს ნატოში გაწევრებას. დროა ხელისუფლება გონს მოეგოს და ხალხის მიერ რეფერენდუმის გზით გამოხატულ ნებას პატივი მიაგოს. თავი დაანებოს 2003 წლის 2 ნოემბერს ჩატარებული რეფერენდუმის გზით მიღებულ სახალხო გადაწყვეტილების იგნორირებას. არა გვგონია, 4-მილიონიან საქართველოს პარლამენტს 150 მეტი დეპუტატი ჭირდებოდეს.

დეპუტატები ნუგზარ წიკლაური, გურამ ჩახვაძე და გიორგი ახვლედიანი უშედეგოდ ცდილობდნენ ჩვენს გადარწმუნებას სხვა ქვეყნის მაგალითებით. როცა კითხვა დავუსვით თუ რამდენი დეპუტატია მეზობელი ქვეყნების პარლამენტებში, თუნდაც აზერბაიჯანსა და სომხეთში, ისინი შეეცადნენ ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ გაეცათ. ამიტომაც ამტკიცებდნენ, რომ პარლამენტის საერთო ხარჯები არ გაიზრდება და დამატებით არჩეული 40 დეპუტატის დაფინანსება პარლამენტის შიდა ხარჯების ეკონომიით მოხდება, რაც ნაკლებად დამაჯერებელია. დეპუტატებს ისიც შევახსენეთ, რომ პარლამენტში არჩეული დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა დამუნჯებულია და ხელისუფლების ინტერესების გამომხატველი კანონების მიღების ბრმა ხმოსნებად გადაიქცნენ. მათ შორის ე. წ. ოპოზიციონერებიც. ითქვა მთავარი, რომ საქართველოში რეფერენდუმის გზით მიღებული გადაწყვეტილების რევიზია არა თუ მიუღებელი, არამედ უკანონობაა.

**თამაზ ცინცაძე,**

**„ქართული აკადემიის" აჭარის წარმომადგენლობასთან არსებული უხუცესთა სათათბიროს თანათავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი.**

ბიძინა ივანიშვილის პრესსამსახური

# სპორტის სასახლის ადმინისტრაცია უძლურია გადაწყვეტილების მიღებაში

**საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" პრეზენტაცია 11 დეკემბერს, 15 საათზე თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში გაიმართება. საზოგადოების ინტერესი — დაესწროს პრეზენტაციას, საკმაოდ დიდია, თუმცა, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი ხელისუფლების პოლიტიკური ნება აღმოჩნდა.**

გვინდა შეგახსენოთ, რომ ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენლებმა ჯერ კიდევ 4 ნოემბერს დაიწყეს მოლაპარაკებები სპორტის სასახლის ადმინისტრაციასთან, დარბაზის გამოყოფის თაობაზე. 17 ნოემბერს სპორტის სასახლის ადმინისტრაციას გაეგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც ბიძინა ივანიშვილის წარმომადგენელი ითხოვდა წერილობით პასუხს გადაწყვეტილების შესახებ. 21 ნოემბერს საინფორმაციო სააგენტოებისთვის მიცემულ კომენტარებში სპორტის სასახლის დირექტორმა ზურაბ ნაყეურმა განაცხადა, რომ მზადდებოდა საპასუხო წერილი. მანვე გვირჩია, დავლოდებოდით ოფიციალურ პასუხს და შემდეგ გაგვეკეთებინა განცხადებები. ბატონ ზურაბ ნაყეურს შევახსენებთ: დღეს 5 დეკემბერია და, როგორც წესი, ეს დრო საკმარისი უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილების მისაღებად.



ფაქტია, რომ სპორტის სასახლის ადმინისტრაციამ ვერ გაბედა ძალიან მარტივი რამ — ეცნობებინა საზოგადოებისთვის დაუთმობდა თუ არა შენობას საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" პრეზენტაციას და თუ არ დაუთმობდა, აქვე განემარტა უარის მიზეზები. ფაქტია, რომ სპორტის სასახლის ადმინისტრაცია უძლურია გადაწყვეტილების მიღებაში და რომ ქვეყანაში ნებისმიერი გადაწყვეტილება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე.

## შეხვედრა ახალგაზრდებთან

ბიძინა ივანიშვილი 60-მდე ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელს შეხვდა. ახალგაზრდებმა ბიძინა ივანიშვილს ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი ხედვა გააცნეს და არსებულ პრობლემებზე ესაუბრნენ. თავის მხრივ ბიძინა ივანიშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ როლზე, რომელიც ახალგაზრდობას ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლაში აკისრია.

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დაახლოებით 3 საათი გაგრძელდა.

ინფორმაცია

# ვენეციის კომისიამ საქართველოს ახალ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა

**კომისიის აზრით, საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას შეუწყობს ხელს, თუმცა მასში კვლავ რჩება სერიოზული პრობლემები და რამდენიმე დებულება საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.**

**უფრო კონკრეტულად, კომისიის აზრით, შესწორებას საჭიროებენ შემდეგი ნორმები: ქვეყანაში ცხოვრების ზედმეტად ხანგრძლივი ვადის მოთხოვნის გამო არჩევნებში მონაწილეობისა და კენჭისყრის შეზღუდვა; საარჩევნო ოლქების იმ სახით ფორმირება, რომლითაც თანაბარი საარჩევნო უფლების პრინციპი ირღვევა; ისეთი პირობების არარსებობა, რომლებიც დამოუკიდებელ კანდიდატებს შესაძლებლობას აძლევენ, კენჭი იყარონ; მექანიზმების უკმარისობა, რომლებიც ქალებს არჩევნებში მონაწილეობას გაუადვილებს; პოლიტიკური პარტიების და კამპანიების დაფინანსების არასაკმარისი რეგულირება; საარჩევნო საჩივრების გადაჭრის არასაკმარისობა.**

**გარდა ამისა, ვენეციის კომისია ქართველ კანონმდებლებს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის შესაძლებლობის მიცემას ურჩევს.**

**კომისიას მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეობის არმქონე პირებს ხმის მიცემის უფლება არ აქვთ, ნამდვილად აქვთ უფლება, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, შეუერთდნენ და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ დებატებში საარჩევნო კამპანიების დროს.**

**ვენეციის კომისიის შეფასებით, ამგვარი აკრძალვა საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავს და ადამიანის ძირითად უფლებებს ეწინააღმდეგება.**

**დასკვნის პროექტში ასევე აღნიშნულია, რომ დამკვირვებელთა შეფასებით, ზოგი დებულება, მათ შორის სახელისუფლებო კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რესურსის რეგულაციის შესახებ, არასაკმარისად არის განხორციელებული.**

**დოკუმენტი 31-გვერდიანია და დეტალურად არის განხილული საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები.**

**საქართველოს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა 17-18 დეკემბერს გახდება ცნობილი.**

ინტერპრესნიუსი

# წინასაარჩევნო ბრახაბრუხი ზუგდიდში

## 4 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ზუგდიდის მოსახლეობას სიტყვით მიმართა

მოგესალმებით ყველას!

მინდა, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგაწოდოთ.

უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვიწყებთ ზუგდიდის მასშტაბურ რეკონსტრუქციას.

აქამდე ყველანი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე — გზებისა და წყალგაყვანილობის შეკეთებაზე ვიყავით კონცენტრირებული, მაგრამ არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზუგდიდი სამეგრელოს ცენტრი და გულია თავისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობით.

სწორედ ამიტომ, ვიწყებთ აქ ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მთელს ზუგდიდში გამოიცვლება წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც ზუგდიდისთვის ეს ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იყო ათწლეულების განმავლობაში.

ასევე ვიწყებთ ძალიან დიდი და ლამაზი მოედნის, სასტუმროებისა და კაფე-ბარების მშენებლობას, ზოგადად, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას.

ერთი სიტყვით, ზუგდიდის ცენტრი იქნება საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ადგილი.

იმის გათვალისწინებით, რომ ვითარდება მესტია და, ზოგადად, სვანეთი, ასევე მთელი შავი ზღვისპირეთი, ხოლო გზა ამ ტურისტული ცენტრებისკენ სწორედ აქ გადის, ზუგდიდი უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეიძენს ტურისტებისთვისაც და კომფორტული ქალაქი გახდება ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაც.

სარეაბილიტაციო სამუშაოები აქ ხვალიდან დაიწყება.

ძველი სტადიონის ნაცვლად, აქ აშენდება „ინგირის“ ახალი სტადიონი. ასევე, გავაკეთებთ სხვა სპორტულ კომპლექსებს. თქვენ იცით, რომ ზუგდიდელ ბავშვებს ოლიმპიური სტანდარტების შესაბამისი ყინულის მოედნის აშენებას დავპირდი. მართალია, ინვესტორებმა რამდენჯერმე გადადეს ეს საქმე, მაგრამ ჩვენ მას საკუთარი ძალებით გავაკეთებთ და დანაპირებს პირნათლად შევასრულებთ.

მიმაჩნია, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ზუგდიდი საუკეთესო ქალაქი იქნება, ხოლო აქ ცხოვრება — ძალიან საამაყო და კომფორტული.

მეორე საკითხი, რომელიც არა მარტო ჩემთვის და თქვენთვის, არამედ საქართველოს ყველა რეგიონისთვის გახდება ძალზე მნიშვნელოვანი, ახალ ინიციატივას შეეხება.

თქვენ იცით, რომ მთელ მსოფლიოში ზღვისპირეთის განვითარებას უდიდესი ყურადღება ეთმობა. ახალი კომერციული, სავაჭრო, ინდუსტრიული ცენტრების 80 პროცენტი ზღვისპირეთში ვითარდება.

ტრადიციულად, ასეა მთელ მსოფლიოში და, ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. თავის დროზე, სწორედ ამგვარად განვითარდა კოლხეთი, ასე ვითარდებოდა ძველი ქართული სამეფოები და მათგან წარმოიქმნა ძველი მითებიც, რომლებიც ჩვენ გვიკავშირდება.

ათასწლეულების განმავლობაში, სწორედ, ეს იყო საქართველოს იდენტურობა.

საქართველოს ახლა ძალიან კარგი პოზიცია უკავია. საკრედიტო რეიტინგები მთელ მსოფლიოში იწევს დაბლა. საქართველო კი ერთადერთი არანავთობმწარმოებელი ქვეყანაა, რომლის საკრედიტო რეიტინგიც იზრდება. ე.ი. აქ არის შესაძლებლობა, რომ ჩაიდოს ინვესტიციები.

ყველა მნიშვნელოვანი კვლევის თანახმად, კორუფციასთან ნომერ პირველი მებრძოლი ქვეყანა ვართ მსოფლიოს მასშტაბით. ასევე, მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოს ნომერ პირველი რეფორმატორი ქვეყანა ვართ ეკონომიკური თვალსაზრისით.

საერთაშორისო გამოკვლევებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვყავს მსოფლიოში რიგით მეორე ყველაზე ეფექტიანი ადმინისტრაციული აპარატი ახალი ზელანდიის შემდეგ.

ჩვენ ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ვართ ევროპაში, რაც რამდენიმე წლის წინათ წარმოუდგენელი იქნებოდა.



მიხეილ ხუროთმოძღვარმა ზუგდიდი გააკლასიკა, — ლაზური სული შთაბერა და დაათუმნა ლაზიკა...

ერთი სიტყვით, საქართველოს აქვს ყველა მონაცემი იმისთვის, რომ აქ დიდი ინვესტიციები განხორციელდეს და დიდი სავაჭრო ბრუნვა გვქონდეს.

აქ უნდა შეიქმნას ძალიან ბევრი სამუშაო ადგილი, დიდი ინდუსტრია, დიდი ლოჯისტიკური ცენტრები და ყველაფერი ის, რისი კეთებაც კარგად გვეხერხება, განსაკუთრებით, სამეგრელოში.

ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, თუ როგორ მოგვეხერხებინა ეს და გადავწყვიტეთ, რომ ანაკლიასა და ყულევს შორის დავაფუძნოთ ახალი დიდი ქალაქი, რომელსაც დავარქმევთ ლაზიკას.

თბილისის შემდეგ, ლაზიკა სიდიდით მეორე ქალაქი იქნება, რომელსაც, ჩემი ვარაუდით, 10 წელიწადში, მინიმუმ, ნახევარი მილიონი მოსახლე ეყოლება. იგი გახდება მთავარი სავაჭრო, ეკონომიკური ცენტრი დასავლეთ საქართველოში და მთავარი ცენტრი მთელ შავ ზღვაზე.

მომავალი წლის გაზაფხულიდან ანაკლიის გაყოლებაზე დავიწყებთ მასშტაბურ სამუშაოებს ახალი პორტის მშენებლობისთვის. იქ არის ღრმა წყლები და საუკეთესო კანიონი, რაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობაა საზღვაო პორტის მშენებლობისთვის.

გზებსა და წყალგაყვანილობის სისტემას გავიყვანთ ყველგან. დაჭაობებულ ადგილსაც დავაშრობთ — ასეთი მხოლოდ ერთი ადგილია და მისი დაშრობა პრობლემას არ წარმოადგენს.

მომავალ წელს, ახალი ქალაქის მშენებლობაზე რამდენიმე ათას ადამიანს დავასაქმებთ.

ასევე, მსოფლიო მასშტაბით გამოვაცხადებთ კონკურსს როგორც ქართველი, ისე უცხოელი არქიტექტორებისთვის.

ჩვენ არაჩვეულებრივი შენობები ავაშენეთ ბათუმში და დღეს ის საუკეთესო ქალაქი ხდება. ძალიან სწრაფად ვითარდება ფოთიც — თავისუფალი ეკონომიკური ზონა ფართოვდება და შენდება დიდი აეროპორტი, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს და, მათ შორის, ჩვენს ახალ ქალაქს, ლაზიკას მოემსახურება.

ჩვენი ამოცანაა ის, რომ ფოთის, ბათუმის, ზუგდიდის, ქუთაისისა და საქართველოს ყველა დიდი ქალაქის აღმშენებლობის შედეგები ერთ დიდ ცენტრში, დასავლეთ საქართველოსა და, მათ შორის, სამეგრელოს ყველაზე დიდ ქალაქში — ლაზიკაში გავაერთიანოთ.

ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს, რომ სიღარიბე ერთხელ და სამუდამოდ დავივიწყოთ.

ჩვენ დიდი გარღვევა გვჭირდება იმისათვის, რომ აქ გაჭირვება აღარ იყოს.

ჩვენ ჩქარი ტემპებით ვვითარდებოდით, წელსაც საქართველო რეგიონში ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ტემპით ვითარდება, მაგრამ დასახულ მიზნამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი, რადგან წლების განმავლობაში განვითარების ძალიან დაბალი დონე გვქონდა.

ჩვენ უკვე დავიწყეთ მოლაპარაკება ევროპისა და აზიის რამდენიმე მსხვილ საინვესტიციო ჯგუფთან, რათა ამ ახალი ქალაქის მშენებლობაში ჩადონ ფული. მინდა მოვუწოდო ყველა ქართველს, მათ შორის, უცხოეთში წასულ ხალხს და აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, მონაწილეობა მიიღონ და ჩვენთან ერთად ააშენონ საქართველოს ახალი სიამაყე, ახალი ქალაქი. ლაზიკა გაკეთდება ისე, როგორც არ გაკეთებულა არც ერთი ქალაქი საქართველოს ისტორიის ერთ მოკლე პერიოდში.

ეს მოხდება აქ — დასავლეთ საქართველოში, აქ — შავი ზღვისპირეთში და აქ — სამეგრელოს გულის გვერდით, ზუგდიდის გაგრძელებაზე.

ასე რომ, წინ კიდევ დიდი მშენებლობები გველოდება და მნიშვნელოვანი გეგმები გვაქვს განსახორციელებელი.

ეს არის ის, რაზე უკვე დავიწყეთ მუშაობა. გახსოვდეთ, რომ რასაც ჩვენ ვამბობთ, იმას ყოველთვის ვაკეთებთ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ორი წლის წინათ ანაკლიაში რაიმე გაკეთდებოდა. მომავალ ზაფხულს ყველაზე კარგი აკვაპარკი იქნება აქ, აშენდება უამრავი ახალი გასართობი ობიექტი და ორი დიდი სასტუმრო.

ვერც იმას წარმოიდგენდა ვინმე, რომ სვანეთში შესაძლებელი იყო რაიმეს გაკეთება. იქ ყველაფერი ძალიან შთამბეჭდავი იქნება წელსვე, განსაკუთრებით კი, ორ წელიწადში.

თეთნულდზე ახალ სათხილამურო კურორტს ვაშენებთ, სადაც უამრავი ადამიანი დასაქმდება.

ნახეთ, როგორ ვითარდება სამეგრელოს სხვადასხვა რეგიონები.

თბილისიდან აქ მოვა ავტობანი, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო ქვეყნის მასშტაბით. ის უერთდება როგორც სტამბულის, ისე ბაქოს ავტობანს. ასეთივე მნიშვნელობისაა სწაფი რკინიგზა, რომელიც აზიაში გადის. ამგვარად, ამ ყველაფრის ცენტრში ჩვენ ვართ.

დღეს, როგორც არასდროს, ჩვენ განათლებული ხალხი გვჭირდება და სწორედ ამიტომ უნდა ავაშენოთ საუკეთესო სკოლები, რომლებიც კომპიუტერიზებული კლასებით იქნება აღჭურვილი. ჩვენ ვქმნით და მომავალ წელს გვექნება საუკეთესო უნივერსიტეტები.

ერთი სიტყვით, ჩვენ გვჭირდება ნახტომი, რომელიც სწორად დაგეგმილი და კარგად გათვლილი, მასშტაბური აღმშენებლობით არის შესაძლებელი.

როგორ ფიქრობთ, რატომ დაგვარტყა რუსეთმა აფხაზეთში?! იმიტომ, რომ მათ იცოდნენ, რომ ყველაზე დიდი პერსპექტივა მოსახლეობის შესაძლებლობის, განათლებისა თუ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, აფხაზეთში იყო.

ამ ფაქტმა საქართველო, პრაქტიკულად, ხერხემალში გაწყვიტა.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ შევქმნით ახალ ქალაქს, რომელიც მყარი საფუძველი იქნება იმისა, რომ საქართველო აუცილებლად დაიბრუნებს თავის ტერიტორიებს. საქართველოს არსებობა, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია აფხაზეთის გარეშე, მაგრამ ამისთვის გვჭირდება განვითარება და მოძრაობა.

ჩვენ აუცილებლად გაგვიჩნდება იმის შესაძლებლობა, რომ საკუთარი პოზიციები აღვიდგინოთ და დღევანდელი პოზიციები შევინარჩუნოთ.

ამისთვის კი, მუდმივი განვითარება, მუდმივი მოძრაობა და მუდმივი წინსვლაა საჭირო.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### „სწორედ ამიტომ არ გავახმოვანეთ კახა შარტავასა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა“...

გუბაზ სანიკიძე: „ბიძინა ივანიშვილი ჩემთვის აღმოჩენა და სიურპრიზი იყო. ძალიან ბევრი ჩვენგანი მას პირადად არ იცნობდა. მას თანაბრად აქვს განაწილებული ნიჭიც და ჭკუაც, რაც აუცილებელია პოლიტიკოსისთვის“.

**„ქრონიკა“.**

### ზურაბ ნოღაიდელს დავა მოუგეს!

სერგო ჯავახაძის პარტიამ ამავე პარტიის ყოფილ ლიდერს ზურაბ ნოღაიდელს დავა მოუგო, უძრავი ქონება და აქტივები დაუყადაღა, მალე განაჩენს სისრულეში მოიყვანს და ექსპრემიერი პარტიიდან გაძევებულ 600

[illegible]

000 ლარზე მეტს დააბრუნებს. ყადაღა, ცხადია, ნოღაიდელის კომპანია „6 კონსალტინგსაც“ შეეხო, რომელმაც „მაესტროს“ აპარატურა მიაქირავა.

**„ვერსია“.**

### „სააკაშვილის ხელისუფლება ახალი ომისთვის ემზადება და ამაზე ახლავე უნდა ავტეხოთ ხმაური“...

ვალერი გელბახიანი: „არჩევნების ჩატარებაში ოსებმა გვაჯობეს! ხომ ხედავთ ცხინვალში ოპოზიციას რამხელა წონა ჰქონია?.. რა, კოკოითს ჯარი არ ჰყავს, რომ ოპოზიცია დანაყოს? რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ ოს ხალხს ეს არ აკადრა. თუნდაც აფხაზეთში ცოტა ხნის წინათ ჩატარებული არჩევნები ავიღოთ. ეს იყო საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებულ არჩევნებზე გაცილებით უფრო დემოკრატიული არჩევნები.

**„ასავალ-დასავალი“.**

### „ქართუ ჯგუფის“ ტვირთები საბაჟოზე მიზანმიმართულად ზიანდება?!

სხვადასხვა სახელმოქმედო პროექტებისთვის განკუთვნილი (ოპერისა და ბალეტის, თუმანიშვილის თეატრისძ საქონელი მალალპროფესიულად არის დაზიანებული. თვალისთვის შეუმჩნევლად, მაგრამ როდესაც აპარატურასააწყობენ, არ იმუშავებს. მიკროსქემები დამწვარია. სავარაუდოდ, დაზიანებები გამოწვეულია ხელოვნური მოკლე ჩართვით ან აპარატურაში მაღალი ძაბვის შეშვებით.

**„კვირის პალიტრა“.**

## პოზიცია

# რა არ მინდა და რატომ?

## ფეისბუქი, ანუ საკუთარი აზრის გამოხატვის ერთადერთი გზა




ყველას კარგად გვახსოვს, რომ ზოგიერთი ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტია საკმაოდ „ცხელ" შემოდგომას და „თბილ" ზამთარს გვპირდებოდა. ისეთ „ცხელსა" და „თბილს", რომ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არც შეშა მოიმარაგა და არც რაიმე გამათბობელი საშუალება დაამონტაჟა. ეგ კი არა, და ზოგიერთმა გულუბრყვილომ „ბათინკების" და პალტოს შეძენაზეც კი უარი განაცხადა.

ცივი ზამთრის მოუმზადებლად დახვედრას მარტო იმ ე.წ. პოლიტიკოსებს ვერ „დავაბრალებ". ამ საქმეში ლომის წილი ჩვენს ხელისუფლებასაც მიუძღვის, მაგრამ გატეხილი გულის, გაყინული თითებისა და გაზაფხულის სევდიანი მოლოდინის მიუხედავად (განსაკუთრებით კი იმ გაზაფხულის, რომელიც „მობრძანდება და ერთს კი არა, ათას მერცხალს რომ მოიყვანს"ძ, მაინც პოულობს იმის სხვადასხვა საშუალებას, რომ გამოხატოს თავისი აზრი, თქვას ის, რაც ყველას გვაწუხებს, ხმამაღლა გამოხატოს თავისი პოზიცია და საზოგადოებას გააგებინოს, რომ მთლად ასე ცუდად არ არის ჩვენი საქმე.

საკუთარი აზრის გამოხატვის ყველაზე გავრცელებულ ფორმად კი, სოციალური ქსელი ფეისბუქი იქცა, რადგან მედიასივრცე ფაქტობრივად დახურულია.

დახურულია რამდენიმე ძალიან „მარტივი" მიზეზის გამო.

**1. მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკურად ვერ ახერხებს გაზეთების შეძენას. იმ გაზეთებისა, სადაც დღევანდელ მწარე რეალობაზე არა მხოლოდ ჟურნალისტები წერენ, არამედ თავიანთ კომპეტენტურ აზრს სხვადასხვა დარგის სპეციალისტებიც გამოთქვამენ.**

**2. „შეუძენელ" გაზეთებთან ერთად, მოსახლეობის დიდ ნაწილს საშუალება არა აქვს, უყუროს იმ ტელეარხებს, რომლებიც ასე თუ ისე, ცდილობენ სიმართლის თქმას და ობიექტური აზრის გავრცელებას.**

**3. „ხელმისაწვდომ" მედიასივრცეში, ანუ ხელისუფლებისგან კონტროლირებად ტელეკომპანიებში გასული გასართობი თუ საინფორმაციო გადაცემები, „საამური ცხოვრების" იმ სარეკლამო რგოლად არის ქცეული, რომელშიც უნიჭო შოუები, ხელისუფლების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებთან და ამ კვლევებთან მიმართებაში სხვადასხვა ე.წ. ექსპერტის, თუ ე.წ. პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ მოსაზრებებთან ერთად სხვადასხვა ფერის ფეიერვერკად იფრქვევა.**

სწორედ ამ და კიდევ სხვა უამრავი მიზეზის გამო გახდა ფეისბუქი არა მხოლოდ ახალგაზრდობის, არამედ მოსახლეობის სოციალურ–პოლიტიკურად აქტიური ნაწილისთვისაც, ინფორმაციის მიღების, გაცვლის და საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალებად.

სწორედ ფეისბუქმა მისცა შესაძლებლობა რამდენიმე ადამიანს „დამეგობრებოდა" პარლამენტის თავმჯდომარეს და მასთან ერთად ყავაც დაელია თბილისის ერთ-ერთ კაფეში.

ფეისბუქის საშუალებით „აირჩიეს" საქართველოს „ვირტუალური სპიკერი" (აქ შეიძლება ვინმე „მაღვალაკმა"თქვას: — „ბაქრაძე ხომ „ლაივშია" თავმჯდომარეო, მაგრამ არა უშავს. პრინციპში ყველაფერი „ვირტუალური" არა გვაქვს?ძ.

ამ ბოლო დღეების განმავლობაში მომხდარ „სკანდალებთან" და მიმდინარე „პოლიტიკურ ძვრებთან" დაკავშირებით უამრავი „სტატუსი დაიდო".

ფეისბუქმა მისცა შესაძლებლობა ბევრ მომხმარებელს, დაესვათ კითხვები ბიძინა ივანიშვილისთვის და პასუხებიც მიეღოთ.

ყოვლად უკომენტაროდ გთავაზობთ რამდენიმე „სტატუსს":

**კოტე ინაშვილი:**

**„ქალთა №5 კოლონიაში ციხის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ზვიად კვარაცხელია მხილებულია პატიმარი ქალების გაუპატიურებაში.**

**— მე ვიჯექი მაია სალუქვაძესთან ერთად და სწორედ კვარაცხელიას მხრიდან ჩვენზე ხდებოდა ფიზიკური, მორალური და მედიკამენტოზური ზემოქმედებით ინტიმური კონტაქტის დამყარება — აცხადებს ყოფილი პატიმარი დიანა კომახიძე".**

**სანდრო ბრეგაძე:**

**„თუ ადამიანი რესპუბლიკელებთან მეგობრობს და მათ პოზიციებს იზიარებს,მაშინ გამოდის რომ ის ეთანხმება იმას, რომ 1) ილია ჭავჭავაძე არ იყო დიდი ქართველი და დიდი მწერალი (ლ.ბერძენიშვილი). 2) ზვიად გამსახურდია გახლდათ კგბ-ს აგენტი (დ.ბერძენიშვილი). 3) 9 აპრილი ქართველი დემონსტრანტების ბრალი იყო (კომპარტიაში 1989 წლის 12აპრილს შესული დ.უსუფაშვილი). 4) 1992 წელს კანონიერი ხელისუფლების დამხობა იყო დემოკრატიული რევოლუცია, ხოლო პირველი პრეზიდენტი გადასაგდები და მოსაკლავი (ი.ხაინდრავა, დ.ბერძენიშვილი, ლ.ბერძენიშვილი და ა.შ.). 5) საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა (თ.ხიდაშელი, პ.ზაქარეიშვილი). 6) საქართველოს ეკლესიას არ უნდა ჰქონდეს უპირატესობა სხვა რელიგიებთან შედარებით (რესპუბლიკელების დოქტრინა). 7) აუცილებელია სექსუალური უმცირესობებისთვის ყველა პრივილეგიის მინიჭება (პ.ზაქარეიშვილი). 8) „იეღოველებს", „ორმოცდაათიანელებს" დ. სხვ. სექტებს მიეცეთ ლეგალური სტატუსი — აი ამას თუ ვინმე იზიარებს ის ჩემთვის საქართველოს ისეთივე მტერია. ამიტომ მინდა მჯეროდეს, რომ ბატონი ივანიშვილი ამას არ იზიარებს, თუმცა ამაზე თავად მან უნდა ისაუბროს."**

**ბონდო მძინარაშვილი:**

**„ხვალიდან საქართველოში ორი ტელევიზია იქნება: „ერას-TV" და „ღლონ-TV!"**

**ნოდარ მან:**

**„ქუჩაში გაგონილი:**

**— კაი რა შე ჩემა, ავიდეთ ცოტა ხნით ჩემთან, დავილაპარაკებთ და წამოვალთ.**

**არც არაფერი, მაგრამ ის „შე ჩემა" გოგო იყო".**

**ახლა შემოგთავაზებთ ბიძინა ივანიშვილის ოფიციალურ გვერდზე დასმულ რამდენიმე შეკითხვას და ბატონი ბიძინას პასუხებს.**

**თიკო თვალაძე: — ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, გეგმავთ თუ არა ფართომასშტაბიან ამნისტიას?**

**— მოგესალმებით. ახალი ხელისუფლების მოსვლას მოჰყვება ძირეული რეფორმები სასამართლო ხელისუფლებაში. სასამართლო გახდება დამოუკიდებელი და იქნება შესაძლებლობა კანონის სესაბამისად გადაიხედოს ის საქმეები, რომელთა მიმართ გამოტანილი განაჩენი საფუძვლიან ეჭვს იწვევს.**

**ზაურ დუნდუა: — თუ დაისჯებიან კანონის ფარგლებში ისინი, ვინც დანაშაულს ჩადის დღეს (ჩინოსნები იგულისხმება).**

**— მოგესალმებით, სამართლებრივ სახელმწიფოში ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, მაგრამ მოქალაქის ბრალეულობის საკითხი უნდა გადაწყვიტოს არა პოლიტიკოსმა, არამედ თავისუფალმა სასამართლომ. დაუშვებელია, დამნაშავეთა დასჯა პოლიტიკურ შურისძიებად იქცეს. მაშინ გამოდის, რომ ქვეყანაში არაფერი შეიცვლება.**

**უცნობი მომხმარებელი: — თქვენ თქვით „ხალხს ასაქმებს ბიზნესი და არა მთავრობა". ბიზნესი ითხოვს 35 წლამდე ინგლისურის მცოდნეებს, რა ქნან უფროსი ასაკის ადამიანებმა? პროფესიონალებმა და ქართულის მცოდნეებმა?**

**— ინგლისურის ცოდნა უდავოდ კარგი საქმეა. ყველა ასაკის ადამიანი უნდა სრულყოფდეს უცხო ენის ცოდნას ყოველდღიურად. თუმცა, სახელმწიფო ენის ცოდნა საქართველოში საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ კომპეტენტურმა ადამიანებმა და კარგმა პროფესიონალებმა შესაფერისი სამსახური იშოვნონ და დასაქმდნენ. ვფიქრობ, სამუშაო ადგილების დასაკავებლად ასაკს არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მთავარი ყურადღება ექცეოდეს პიროვნების კვალიფიკაციას და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. ჩემთვის ხელისუფლების დღევანდელი მიდგომა ამ საკითხისადმი ფაქტობრივად დისკრიმინაციაა, რომელსაც ჩვენი მთავრობა არ დაუშვებს.**

როგორც ხედავთ, საქართველოს მოსახლეობაში საკმაოდ განსხვავებული მოსაზრებები, სურვილები და კითხვებია.

საკმაოდ მწვავე და აქტიურია განწყობა, მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ყველაფერს ძალიან ნათლად, მოკლედ და კონკრეტულად გამოხატავს თიკო თვალაძის ჩანაწერი, რომელსაც მან „არ მინდა" დაარქვა.

**„არ მინდა, მახსოვდეს 26 მაისის ღამე ! არ მინდა, ფსიქიურად შეშლილი, მხდალი და მატყუარა პრეზიდენტი! არ მინდა, პანთეონში კრძალავდნენ „თავსმოხვეულ" გმირებს! არ მინდა ვანკუვერიდან პირდაპირ მინისტრის სკამზე დასკუპებული, „ათას თონეზე გადამხტარი" ქობალია განაგებდეს ქვეყნის ეკონომიკას! არ მინდა, ტუჩებბრგე კალმახელიძე, რომელიც ღიმილით გვაზიარებს ჭეშმარიტებას, რომ თურმე ციხის გარეთაც იხოცებიან ადამიანები (ჰოი, საოცრებავ!).. არ მინდა, გადაცემა „პატრულით" ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენურ ვითარებაზე მიყვებოდეს თავად მკვლელი დონაძე ... არ მინდა, ამ მთავრობისგან უმიზეზოდ ჩახოცილი ვაჟკაცები და დაუსჯელობის სინდრომით გაჟღენთილი ზონდერები... არ მინდა მაღალჩინოსნის გაფეტიშებული ცოლი, რომელიც „პიტალო სიტყვებით" მოიხსენიებს ქართული თეატრის სიამაყეს, რობერტ სტურუას... არ მინდა ხალხის ჯიბეზე ჩამოკიდებული საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც 24-საათიან რეჟიმში ატყუებს „მარჩენალ ხალხს" .... არ მინდა საქ. TELEMUNDO-სა და შ.ს.ს.-ს დადგმული უნიჭო სერიალები („ველური კოჭოია", „ენვერებიც ტირიან", „მუხროვანის ველური კატა" და ა.შ.), რომლებშიც, როგორც წესი, პირდაპირი და ირიბი გაგებით მთავარ როლში გვევლინება გმირი, სახელწოდებით ეშმაკი-მიშა ...არ მინდა, განათლების რეფორმატორი ლომაია, რომელიც დაფაზე ერთ მარტივ სიტყვას ვერ წერს უშეცდომოდ... არ მინდა სოფლის განვითარების მინისტრი, ტერმინოლოგიით „მამალი, დედალი ძროხა" ... არ მინდა ჩახვაძისნაირი ოპოზიცია, არც თორთლაძისნაირი ალპინისტი მინდა, ეჭვი მაქვს, არც ბუნებას უნდა (მთას კაცები უყვარს) ... არ მინდა, აგვისტოს ომის შემდეგ ჯერ კიდევ იარამოუშუშებელ ხალხს აბუჩად იგდებდეს და გულს უხეთქავდეს მოდელირებული „იმედი", იმიტირებული „ქრონიკით" .... ასე, უსასრულოდ შეიძლება გაგრძელება .... თავი მოგაბეზრეთ, ფრაზით „არ მინდა", მაგრამ რა ვქნა? ეს ყველაფერი მართლა არ მინდა!!!"**

აბსოლუტურად ვეთანხმები თიკოს.

**ვეთანხმები და, ჩემი მხრივ, ვამატებ, რომ: არ მინდა იეღოველების, სექტანტების და სექსუალური უმცირესობის დამცველები, არ მინდა აღმაშენებლის ძეგლის ადგილას „აღმართული" ველოსიპედის „ობელისკი" (იქ არ მინდა, თორემ რომელიმე არტ-გამოფენაზე იდგეს), კიდევ ბევრი რამ არ მინდა და რაც მთავარია, ტყუილი არ მინდა.**

**გია გაბრიჭიძე**

## წკეპლიკა

# ჩემი „შოკური თერაპია" და იმისი საზღაური

მკითხველს წინასწარვე უნდა მოვუბოდიშო ჩემს თავზე საუბრისა თუ ჩემი „ავადმყოფობის ისტორიის" მოყოლისათვის, მაგრამ ერთგვარად ეგებ მიმართლებდეს ალექსანდრე პუშკინის ერთ-ერთი ცნობილი „ფორმულა" — „Его пример други наука". გავიხსენოთ, როგორ გვმოძღვრავს გენიალური პოეტი თავისი გმირის ევგენი ონეგინის ენა-პირით: „სიდარბაისლით ცნობილ ჩემს ბიძას, ავადმყოფობა რომ შეეჩვია, პატივისცემას ითხოვდა დიდძალს, სხვაფრივ ვერ იქმდა, რაღა ეჭვია. ეგ მაგალითი სხვათა მწვრთნელია..." (თუ არ მეშლება, გრიგოლ ცეცხლაძის თარგმანით...ძ.

...ამას წინათ ბანკ „ქართუში" მივედი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიიდან ჩემი ერთი თვის ხელფასის ასაღებად და იქვე გავხდი ცუდად. თანამშრომლებმა უმალვე მომხედეს მთელი გულისყურით (დიდი მადლობა იმათძ, მერე „სასწრაფოსაც" გამოუძახეს, რომელმაც რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩემი წაყვანა ჩათვალა საჭიროდ. იქ მთელი 7 საათი დავყავი ეგრეთ წოდებულ შოკის დარბაზში (როგორის არსებობა არც ვიცოდიძ. მთელი პერსონალი ჯეროვანი ყურადღებით მომეკიდა, ჩამიტარდა არაერთი მანიპულაცია თუ პროცედურა — ფიზიოლოგიური გადასხმები, მიერთებები ჟანგბადის ბალონსა თუ წნევის აპარატთან, ექოსკოპია, კარდიოგრამირება... ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ...

საღამოს, ჩემიანებმა რომ წამომიყვანეს, გამოსასვლელში ანგარიშსწორება გახდა საჭირო: 143 ლარი გადაგვახდევინეს, ასე რომ, ის ერთი თვის ხელფასი ნავსად აღებული აღმოჩნდა და მთლიანად საავადმყოფოში „ჩავუშვი". იმ 143-ლარიან საზღაურში მედიკამენტების საფასური არ შედის და ამრიგად, შოკის დარბაზში წოლის 1 საათი 20 ლარი „ნაღირება"; თანაც ზოგიერთმა ჩემსავით ჭირგამოვლილმა ეგებ იფიქროს — კიდევაც იაფად გამოსულხარო...

არ მინდა, „ვირო მადლი" გამომივიდეს, მაგრამ საქართველოში წარმატებით მიმდინარე რეფორმებზე (კერძოდ, სამედიცინოზეცძ ტრაბახით რომ ქვეყნიერება ავიკელით და იმ ქვეყნიერებიდან არაერთი ქვეყანა გამოცდილების გადასაღებად რიგში ჩავაყენეთ — რეფორმები მხოლოდ გადასახადების ზრდაში უნდა გამოიხატებოდეს? მედიცინის სფეროს რაც შეეხება, მკურნალობისა და წამლების ფასების უმოწყალო ზრდას ნიშნავს რეფორმები? ერთი თვის ხელფასს საავადმყოფოში შვიდსაათიან ყოფნაში უნდა ვტოვებდე? პენსიონერის ერთი თვის 100 ლარიც შეადარეთ იმ 143-ს...

ადამიანს ასოციაციები, მოგეხსენებათ, ნაირ-ნაირი აქვს და იმ ჩემთვის ბედკრულ საღამოს ერთი წვერიანი ანეკდოტი გამახსენდა — კინტო რომ საპირფარეშოში შევიდა, კარბოლის სადიზენფექციო ხსნარი დახვდა მოსხმული და აფსუს, „რაღაცის" სუნიაო, რომ წამოიძახა... ჩემი ასოციაცია „აფსუს, საბჭოური ხანის უფასო მკურნალობა და იაფი წამლები" იყო...

ამ დღეებში პრეზიდენტის პრესსპიკერმა, სიმპათიურმა ახალგაზრდა ქალმა (უსიმპათიოებს მიხეილ-ბატონი, ვიცით ეს ჩვენ, ახლოს არ მიიკარებსძ, ტელეეკრანიდან მოგვაბოლა — წლის ბოლომდე 40 ახალი საავადმყოფო შეგვემატება, კლინიკები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილიო; რა ტკივილებში ვიხლი ისეთ სამკურნალო დაწესებულებებს, თუნდაც ამგვარად აღჭურვილს, სადაც მკურნალობა ჩემთვისა და ამდენი ჩემისთანასთვის „ოთუს-ბირი" დაჯდება... ისღა დაგვრჩენია, ვეცადოთ, რომ სასაავადმყოფოდ არ გავიხადოთ მდგომარეობა, თუმცა საქმე ესე, ვგონებ, ჩვენზე არაა დამოკიდებული...

**თამაზ ებანოიძე**

## „შორია გურჯისტანამდე“

# უცხოეთში მცხოვრები ქართველები ოფიციალურად „თანამემამულეები“ გახდებიან

**უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს „თანამემამულის“ სტატუსი მიენიჭება — ეს ერთი დიდი ნაბიჯია საინგილოში (ჰერეთში), ფერეიდანსა და ტაო-კლარჯეთში მცხოვრებთათვის. სტატუსის მინიჭებით სახელმწიფო აიღებს ერთგვარ ვალდებულებას, რომ იქაურების მიმდინარე ასიმილაცია არ დაუშვას.**

„თანამემამულის“ სტატუსის მინიჭებას ახალ-ახალი მიზნობრივი პროგრამების შექმნა და განხორციელება უნდა მოჰყვეს. შედეგად, უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა ისტორიული სამშობლოს მხრიდან გვერდში დგომა უნდა იგრძნონ. ადგილობრივი ხელისუფლებებიც პატივისცემით უნდა მოეპყრონ კანონმორჩილი დიასპორის ელემენტარულ უფლებებს.

დავიწყოთ ფერეიდნელი თანამემამულეებისგან. სომხებისგან განსხვავებით, მათ ირანულ სკოლაში სწავლა-განათლების მშობლიურ ენაზე მიღების უფლება არ აქვთ. სხვათა შორის, ასეთივე მდგომარეობაში არიან ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელებიც. ფერეიდნელების „გურჯობა“ ეჭვს არავისში იწვევს, თუმცა საქმე საქმეზე და საბუთებზე რომ მიდგება, ყველა „სპარსი“ ხდება.

ბოლო დროს იქ გარკვეული ძვრები არის, თუმცა — არცთუ თვალში საცემი. ვგულისხმობ ქართული ენის შემსწავლელი წრეების გახსნას, რაც ენის, თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის აშკარად არასაკმარისია. ფერეიდნელებს კვლავაც „ცისარტყელაში“ გაქრომა უწევთ, რომ გენი შეინარჩუნონ და შთამომავლებს გადასცენ.

ანალოგიური მდგომარეობაა მეზობელ თურქეთშიც. ხელისუფლებებს შორის მეგობრული ურთიერთობების მიუხედავად, იქაური ქართველები საკუთარ ენაზე განათლებას ასევე ვერ იღებენ. საქმე იქამდეა მისული, რომ ოჯახებშიც თურქულ ენაზე მეტყველებენ. თბილისში მყოფი ქართული წარმოშობის სტუდენტებიც კი ერთმანეთში ხშირად თურქულ ენაზე ურთიერთობენ.

ლოზუნგს „ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა თურქია“ — თავისი შედეგები მოაქვს. ქართულმა სახელმწიფომ თუ ამაზე ხმა არ ამოიღო და ამ მიმართულებით ქმედითი მუშაობა არ დაიწო, რამდენიმე მილიონი თანამემამულე სრული გაქრობის წინაშე დადგება. უდიდესი დიასპორის ასე გაწირვა კი სამომავლოდ ქართულ სახელმწიფოს კარგს არაფერს უქადის.

ეს იმ ფონზე, როდესაც თუნდაც ჩვენი მეზობელი სომხები და აზერბაიჯანელები საქართველოში თავიანთ დიასპორის ფაქტორს აქტიურად იყენებენ. ექსპერტები აღნიშნავენ,რომ თანამემამულეების დასაცავად აგრესიული ტონიც უნდა გამოვიყენოთ და ზოგ-ზოგიერთებს ევროპული ვალდებულებებიც შევახსენოთ.



ყველაზე მწვავედ პრობლემა მაინც საინგილოს ქართველებთან მიმართებაში დგას. საქართველო-აზერბაიჯანის მეგობრობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა ჰერელებთან მიმართებაში ეს სამწუხაროდ არ იგრძნობა. 20 ათასამდე გამაჰმადიანებულ ინგილოს ნამდვილი წარმომავლობა დღემდე ვერ დაუმტკიცებია და ამ საქმეს საშველი არ ადგას.

სსრკ-ში ცხოვრებამ ის მაინც მოიტანა, რომ საინგილოში ქართული სკოლები და სექტორები ფუნქციონირებენ. ეს რომ არ ყოფილიყო, ტაო—კლარჯეთზე უარესი მდგომარეობა გვექნებოდა.

თუმცა, რაღა შორს წავიდეთ, ჰერეთშიც დღეს გვხვდება სოფლები, სადაც მხოლოდ ღრმად მოხუცებულებიღა საუბრობენ ქართულად. თავის დროზე იქ მშობლიურ ენაზე სკოლა არ გახსნეს და შედეგმაც სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში არ დააყოვნა.

კახის რაიონის ქრისტიანული აღმსარებლობის სოფლებში შედარებით დამაიმედებელი მდგომარეობაა. იქ სუფთა ქართული სკოლებია და ვერ გააუქმებენ. რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა ზაქათალის და ბელაქნის სოფლების შერეულ სკოლებში, სადაც ქართული სექტორები გაუქმების პირასაა. შერეულ ქართულ-აზერბაიჯანულ სკოლებში, მხოლოდ აზერბაიჯანული მოსამზადებელი კლასები ფუნქციონირებენ.

ამ საკითხზე „პრესაგე.ტვ“ უკვე წერდა და გამეორებას არ დავიზარებთ. საქმე გვაქვს აშკარად არამეგობრულ დამოკიდებულებასთან ადგილობრივი აზერბაიჯანული ადმინისტრაციის მხრიდან.

მარტივი სვლაა — მშობელს ხუთი წლის ბავშვი იძულებით აზერბაიჯანულ მოსამზადებელ კლასში მიჰყავს, რადგან ქართული ფიზიკურად არ არის. ამის შემდეგ კი ინგილო მშობელს მშობლიურ ენაზე გადაყვანას უკრძალავენ. შედეგია ის, რომ ქართულ სექტორზე კონტინგენტი წლიდან-წლამდე მცირდება და კუთხე კატასტროფისკენ მიექანება.

ეს საკითხი თბილისში, შესაბამისი ორგანოების წინაშე არაერთხელ დაისვა, თუმცა — უშედეგოდ. თავად ადგილობრივმა მასწავლებლებმა მოსწერეს თბილისში პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოებს, მაგრამ შედეგი — არავითარი. როგორც ჩანს, ქართველ ჩინოვნიკებსა და საინგილოში მცხოვრებ ქართველებს შორის აზერბაიჯანული ნავთობდოლარები დგას.

რეალობა კი მართლაც საგანგაშოა. ზაქათალის სოფელ ალიაბადში ოთხი სკოლიდან მხოლოდ ორშია ქართული სექტორი და აქედან ერთი — გაქრობის პირასაა. იგივე მდგომარეობაა მოსულში და ბელაქნის ითითალაში. პრობლემებიც ანალოგიურია და მას დროული რეაგირება, კანონიერი მოთხოვნების დაყენება სჭირდება.

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, საქართველოს ხელისუფლებამ აზერბაიჯანულ სკოლებში მთელი მოსამზადებელი კლასი რომ გააუქმოს? რა მოჰყვება ამას ადგილობრივი დიასპორის და ბაქოს მხრიდან? თბილისს ასეთ რამ არასოდეს გაუკეთებია და არც უნდა გააკეთოს. თუმცა, ანალოგიური დამოკიდებულების მოთხოვნა, რატომღაც არ ხდება.

იგივე ეხება ეროვნული ნიშნით ალიარების თემას. მთელ აზერბაიჯანში „ინგილო“ და „გურჯი“ სინონიმებია და ეს არავისში ეჭვს არ იწვევს. საქმე საქმეზე რომ მიდგება, მათი წარმოშობის აღიარება არავის სურს. თუმცა, სხვაზე რა უნდა ვთქვათ, როდესაც ალიაბადის სკოლაში ჩასულმა ნაქეიფარმა ჩვენმა ელჩმა შარაშენიძემ ქართველ მასწავლებლებს თურქულ ენაზე საუბარი დაუწყო?!

სანამ ვიღაცეების ბიზნესინტერესები უფრო მაღლა იდგება, ვიდრე ეროვნული მიზნები, მანამდე ზედ ალაზნის პირას მცხოვრები ქართველები თავს გარიყულად იგრძნობენ. მათი სრული ასიმილაცია მხოლოდ და მხოლოდ თბილისის უპასუხისმგებლობის და ბედოვლათობის ბრალი იქნება და არა ადგილობრივი ადმინისტრაციის.

**ნიკა მეტრეველი**

## არეულ ტალღაზე

# საერთო ქიშკარი

### ახლავე გადადგეთ, ჯობია!

„ახალი მემარჯვენეების“ მუდმივმა თავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ 18 ნოემბერს გამართულ პარტიის ყრილობაზე განაცხადა, რომ თუ იგი ვერ შეძლებს “ახალი მემარჯვენეების“ დაბრუნებას პარლამენტში, გადადგება.

ბატონო დავით! შეგიძლიათ თქვენი განზრახვა ახლავე აღასრულოთ, რადგან პარლამენტში თქვენი და თქვენი მეგობრების მოხვედრის არავითარი შანსი არ არსებობს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ნაციონალთა პარტიულ სიაში ჩაეწერებით... ამას თავადაც უნდა ხვდებოდეთ.

### იაფი ქართული საზარბაზნე ხორცი

ამერიკა და ნატოს წევრი ქვეყნები დიდ მადლობას უხდიან სააკაშვილის ხელისუფლებას ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის გაზრდის გამო. რატომაც არ გადაუხდიან! საბაზრო ეკონომიკის „მგლებმა“ კარგად იციან ანგარიში. ავღანეთში ერთი ამერიკელი ჯარისკაცი აშშ-ის მთავრობას 15 ათასი დოლარი უჯდება ყოველთვიურად, ოფიცერი კი — გაცილებით მეტი. ქართველი ჯარისკაცი კი 3000 (დოლარი თუ ლარიძ ჯდება და ამასაც ბოლომდე არ აძლევენ ქართველი უფროსები. დაღუპული ქართველი ჯარისკაცი მთავრობას 10 ათასი ლარი უჯდება თავისი კომპენსაციით, ამერიკელი ჯარისკაცი კი — ათჯერ მეტი. იაფი ქართული საზარბაზნე ხორცით ისინი ფულსაც ზოგავენ და თავიანთი ჯარისკაცების სიცოცხლესაც, მაშინ როცა ისედაც შემცირებულ ქართველობას ვიღაც თალიბებთან საბრძოლველად გვწირავენ და გენსაც გვიკარგავენ...

ამასთან, მუსულმანურ სამყაროსთან გადაკიდებაც ძვირი დაგვიჯდება მომავალში.

### ერთი ხელით გვეხმარებიან, მეორეთი - გვძირავენ

არავინ არ უარყოფს აშშ-ის მიერ აღმოჩენილ ფინანსურ და ტექნიკურ, ასევე სამხედრო-დიპლომატიურ დახმარებას საქართველოს მიმართ. არც ისაა დასამალი, რომ ამას ჩვენი ლამაზი თვალებისთვის არ აკეთებენ. მათ თავიანთი კონკრეტული ფინანსური და სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები აქვთ საქართველოში და ამ მიზნების მისაღწევად ხშირად ფეხებზე გვიკიდებენ და სამარეს გვითხრიან. სწორედ აშშ-ის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ და ამის გასაკეთებლად მოკავშირეების იძულებამ განსაზღვრა გაცოფებული რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარება, რაც საქართველოსთვის ზურგში ლახვრის ჩაცემის ტოლფასი იყო. ამას კი აი, რა უძღოდა წინ: აშშ-ის და ნატოს მიერ სერბეთის ქალაქებისა და მართლმადიდებლური ეკლესიების დაბომბვის შემდეგ ამერიკამ კოსოვოში, ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას, საიდანაც კონტროლდება მთელი ბალკანეთი და იქ გამავალი ნავთობ და გაზსადენები, კემპბონდსტილის უზარმაზარი სამხედრო ბაზა ააგო (სულ აშშ-ს მსოფლიოში 724 სამხედრო ბაზა აქვს, რუსეთს - 10-მდეძ 7200 ჯარისკაცით. სერბიამ შემდგომში უარი უთხრა აშშ-ს ამ ბაზისთვის ვადის გაგრძელებაზე, ამის გამოც დასაჯეს იგი ამერიკელებმა და კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობით აქ ფაქტობრივად სამუდამოდ დაიკანონეს ეს ბაზა.

დასავლეთიდან ნატო-აშშ-ევროკავშირის მიერ შევიწროებულმა რუსეთმა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობასთან ერთად აქ განალაგა ორი დიდი სამხედრო ბაზა ზუსტად 7200 (3600(3600ძ ჯარისკაცით.

თვალი თვალის წილ, კბილი ბილის წილო, ნათქვამია. რუსეთისთვის მოქნეული ხელი ისევ ჩვენ მოგვხვდა ყბაში. ასე „გვეხმარებიან“ ხანდახან ჩვენი ამერიკელი ძმები.

### ახალი - ძველის ნაცვლად

„ზარაფხანამ“ ახალი აქცია წამოიწყო — ძველი გამოუსადეგარი ოქროულობის ჩაბარების სანაცვლოდ მომხმარებელს ახალ ნაკეთობებს სთავაზობენ ფულის დამატებით. საქართველოს მოსახლეობას უკვე გაუჩნდა სურვილი, რომ ზარაფხანის ინიციატივას მიბაძოს — ძველი გამოუსადეგარი მთავრობა თავიანთ პატრონებს ჩააბაროს და ახალი მიიღოს, თუნდაც ამისთვის ცოტაოდენი დამატებაც დასჭირდეს — ამასაც როგორღაც გადაიტანს.

### რა საერთო აქვთ პროსტიტუციას და პოლიტიკურ პროსტიტუციას?

ამას წინათ ერთ-ერთი სამთავრობო არხის თოქ-შოუში (100 გრადუსი Cძ გაიმართა ცხარე მსჯელობა პროსტიტუციის ლეგალიზებასთან დაკავშირებით. პროსტიტუცია მართლაც უძველესი პროფესიაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქალი ამას ფულის გულისთვის არ აკეთებს (ასეთია, ალბათ, მეძავთა 10%ძ. ერთ-ერთი გამომსვლელი აღნიშნავდა, რომ მეძავთა უმრავლესობას ეს საქმე ფულის იოლად შოვნის და ცხოვრების უკეთესად მოწყობის უმთავრეს გზად მიაჩნია, რომ ისინი თავს არ იკლავენ სწავლით და შრომით, არ რცხვენიათ ამის.

ყოველივე ამან მეორე უძველესი პროფესია — პოლიტიკოსობა გამახსენა. ჩვენთან პოლიტიკური პროსტიტუცია დიდი ხანია ლეგალიზებულია. პოლიტიკა აქ, პროსტიტუციასავით, სერიოზულ ბიზნესად იქცა, სადაც მოსახვედრად და დასამკვიდრებლად არავითარი განსაკუთრებული კრიტერიუმები არაა საჭირო — არც განათლება, არც კულტურა, არც ზნეობა, არც თავმოყვარეობა, არც პასუხისმგებლობა — საკმარისია ვიღაცას ამოეფარო და ცოტა ხანი მანც ერთგულად ემსახურო ან რომელიღაც ქვეყნის აგენტი გახდე, რომ ცხოვრებასაც კარგად მოიწყობ და ბავშვობის ყველა ოცნებასაც აისრულებ — სიმდიდრე, ძალაუფლება, პრესტიჟი არ მოგვაკლდება. რა უშავს მერე, თუ ხანდახან „პროსტიტუტკას“ დაგიძახებენ...

არადა, პოლიტიკა ნამდვილად არააა ბინძური საქმე, თუ ბინძური ხალხი არ მიეტმასნება მას.

### ცივილიზაციის მიერ გახელებული დედლები

გახსოვთ, ალბათ, ასე უწოდებდა კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ-ერთ პერსონაჟს, მეტისმეტად ემანსიპირებულ ქალბატონს „დიონისეს ღიმილში“. ასეთმა ქალბატონებმა წალეკეს დღეს მთელი საქართველო. ამ პრეტენზიულ და „ყოვლისმცოდნე“, ზნეობასთან საკმაოდ მწყრალად მყოფ დიაცებს მრავლად წააწყდებით ცხოვრების ყველა სფეროში — პარლამენტით და მთავრობით დაწყებული და ჟურნალისტიკისა და მუსიკალური სფეროს მიმდევრებით დამთავრებული. ეს მცირემცოდნე და დიდი ამბიციების მქონე ქალები ადვილად ახვევენ თავზრუს უკანონო გზით გამდიდრებულ ახალ ქართველებს და უცხოელებს, აქცევენ თავიანთი გავლენის ქვეშ მათნაირ ფულიან პოლიტიკოსებს, უწინარესად კი მმართველებს. როცა დაინახეს, რომ ასეთ ქალებს ჩვენთან დიდი გასავალი აქვთ, მათი მსგავსი ქალბატონები სხვა ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიან. მაგალითად, როგორც ერთი სააგენტო იტყობინება, საქართველოში თითქმის ერთი წელია სტუმრობს „ცნობილი“ უკრაინელი მომღერალი ივანა მელაი, რომლის „სტუმრობაც“ მის მომწვევებს საქართველოს მთავრობიდან უკვე 500 ათასი ლარი დაუჯდათ თურმე, ცხადია ჩვენი ბიუჯეტის ხარჯზე (აბა თავის ფულებს ხომ არ დაახარჯავენ ასეთ ქალებსძ.

აფსუს, რად არ ვარ მეფე გიორგი!

**ვაჟა შუბითიძე**

◉ კიდევ ერთი სასწაული

# რეფორმების ექსპორტიორი ქვეყანა ვართ!

## დღემდე ჩვენ ვსწავლობდით სხვისგან, ახლა ჩვენ ვასწავლით სხვას

**ქართველები რომ სასწაულმოქმედი ხალხი ვართ, ამაში კიდევ ერთხელ დამარწმუნა პრეზიდენტ სააკაშვილის ბიშკეკურმა ტურნემ, სადაც ის ყირგიზეთის ახლად არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაში მონაწილეობის მისაღებად ჩაფრინდა. ვერ გეტყვით, რამდენად ზეიმური გამოდგა. ალმაზბეკ აკამბაევის პრეზიდენტად კურთხევა, მაგრამ ინაუგურაციის შემდეგ იქაურ სტუდენტთა მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრა კი, რომელსაც მიშავიზია სამი დღის მანძილზე ჩამოუხსნელად გვაჩვენებდა, ნამდვილ დღესასწაულად იქცა. შეხვედრის მონაწილენი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ქართული სასწაულების გამო და იმის გამოც, რომ ამ სასწაულების შემოქმედი, ხალხის ნამდვილი გმირი და კუმირი იმ დღისით მათი წვეული იყო.**

შეხვედრაზე, რომელმაც უწყვეტი ტაშის გრიალში ჩაიარა („საქსტატის“ მონაცემებით, მეტაშეებმა სააკაშვილს 15-ჯერ შეაწყვეტინეს გამოსვლაძ, დაისვა უთვალავი შეკითხვა, გამოითქვა უამრავი სურვილი. ერთმა ყველაზე გაბედულმა სტუდენტმა ისიც კი შესთხოვა მიხეილ სააკაშვილს, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ იქნებ მოიღოთ წყალობა, ჩამოხვიდეთ ყირგიზეთში და იგივე გააკეთოთ, რაც გააკეთეთ საქართველოშიო.

ჩავა თუ არა სააკაშვილი ყირგიზეთში საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ, რა მოგახსენოთ (ჩვენი ჩაუქა პრეზიდენტის ამბავი რომ ვიცი, შეიძლება ხვალვე ჩავიდეს!ძ, მაგრამ იმ საგმირო საქმეების თაობაზე კი, რაც მან საქართველოში გააკეთა, ჩვეულებისამებრ, მაგრად გაბუქა. კერძოდ, თქვა, რომ საქართველოში არც ერთ ეპოქაში, არც ერთი მთავრობის დროს არ აშენებულა და გაკეთებულა იმდენი, რამდენიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. ვარდების რევოლუციის შემდეგ ძალიან მოკლე პერიოდში საქართველომ შეძლო თავი დაეღწია ჩამორჩენილობისთვის და გადაქცეულიყო უპირველეს დემოკრატიულ და რეფორმატორულ ქვეყნად. **დღეს მთელი მსოფლიო რომ გლობალურ კრიზისშია ჩაფლული, ჩვენი ეკონომიკა ყოველწლიურად 6-7 პროცენტით იზრდება, დღემდე თუ ჩვენ ვსწავლობდით სინგაპურისგან, ახლა ჩვენ ვასწავლით სხვებსო, — დასძინა სააკაშვილმა და იქვე დაამატა, რომ „საქართველო უკვე რეფორმების ექსპორტიორი ქვეყანა გახდა!“**

ეს როგორო, იკითხავს ცოტა არ იყოს დაბნეული მკითხველი, ბატონი მიხეილი ამ ორიოდე დღის წინათ საქართველოს სინგაპურიზაციაზე ლაპარაკობდა და ახლა უცებ როგორ გავხდით სხვათა მასწავლებელიო? ასე, ბატონებო, ნაცების ბრძნული მეთაურობით, ქვეყანა ისეთი ტემპებით გარბის ფინიშისკენ, რომ უკან მოხედვას ველარც კი ვასწრებთ, **გუშინ რომ მოსწავლეები ვიყავით ქართველები, დღეს უკვე მასწავლებლები გავხდით.** ამის თაობაზე პრეზიდენტმა გვაუწყა ჯერ კიდევ ქუთაისის ახალ შენობაში გამართულ მთავრობის სხდომაზე (შეიძლება ზოგს ეს მომენტი გამორჩა!ძ, როცა ოფიციალურად განაცხადა, რომ **„საქართველო უკვე არის ახალი სინგაპური, საქართველო არის ახალი ჰონკონგი!“**

აბა როგორ, ბატონებო. იყო დრო, როცა ჩვენ ვსწავლობდით სინგაპურისა და ჰონკონგისგან, მაგრამ ახლა ჩვენ თვითონ ვართ ჰონგონკიც და სინგაპურიც!ძ. ჩვენ დავაგროვეთ რეფორმების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ხალხის მასობრივად დასაქმების უმდიდრესი გამოცდილება და ახლა ის საექსპორტოდ უცხოეთის ქვეყნებში გაგვაქვს. როგორც არ უნდა საკვირველი იყოს, **ჩვენ მეზობელი ქვეყნებიდან შემოგვაქვს კარტოფილი და ნიორი, მაგრამ სამაგიეროდ საექსპორტოდ გაგვაქვს რეფორმები და ავტომობილები, რომელსაც არ ვაწარმოებთ(?!).** თუმცა, როგორც ირკვევა, ქვეყანა იმდენად უხვად აწარმოებს რეფორმებს, რომ მათ ექსპორტზე პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი, პრემიერი გილაური და ცალკეული მინისტრები არიან დასაქმებულნი.



საექსპორტო პროდუქციიდან, ალბათ, ყველაზე ფასეული მაინც უცხოელებისთვის ის შედეგებია, რომელიც ეკონომიკაში ჩატარებული რეფორმების წყალობით მოვიპოვეთ. იმათგან გამოვყოფდი სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა შესაშურ მაჩვენებელს, რომელიც არაოფიციალური მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენს და ასევე ბოლო წლებში უმუშევრობის უსაზღვროდ შემცირებულ ციფრებს, რომელმაც 32 პროცენტიდან აგერ სულ ახლა, ნიკა გილაურის „მტკიცებით“, 16,2 პროცენტამდე ჩამოიწია. რაც მთავარია, ეს არ გახლავთ ზღვრული მაჩვენებელი და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ იმავე გილაურის ხელში, ის წლის ბოლომდე 10 პროცენტამდე შემცირდება.

ამის გარანტია გახლავთ ის უნიკალური გამოცდილება, რომელსაც საქართველოში დასაქმებულის განსაზღვრის საქმეში მივაღწიეთ. რას მივაგენით? სწორედაც რომ მივაგენით. დღეს ევროპელები აფრიკა-აზიის უკიდურესად ღარიბ ქვეყნებშიც კი უმუშევრობის დაანგარიშებისას, **დასაქმებულად არ თვლიან ადამიანს, რომელიც ფორმალურად სამუშაოზე დაქირავებულია, მაგრამ მისი დღიური შემოსავალი 2 ევროზე ნაკლებია. ჩვენთან კი დასაქმებულად ითვლება ადამიანი, რომელიც კვირაში მხოლოდ 1 საათს მუშაობს, თუ მისი თვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმსაც (155 ლარს) კი ვერ აღწევს(!).**

ასეა, საქართველოში დღეს დასაქმება და ბიზნესის დაწყება მთელ მსოფლიოში ყველაზე იოლია და ამიტომ გვესევიან აქეთ-იქიდან მეზობლები თუ შორებლები გამოცდილების გასაზიარებლად. მხოლოდ ერთი რამ არის ალოგიკური და გაურკვეველი — რატომ არის მილიონზე მეტი ქართველი სამუშაოდ გადახვეწილი უცხოეთში, თუ მათ სამშობლოში ეკონომიკური კეთილდღეობის ოაზისია? ამაზე, ალბათ, უნდა იფიქროს ჩვენმა გულმოწყალე ხელისუფლებამ და დამდეგ არჩევნებამდე დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი რამდენიმე პუნქტით კიდევ წააჩოჩოს.

როცა დასაქმებულთა ზრდაზე ვლაპარაკობთ, ალბათ უპრიანია პირველ რიგში მოვიხსენიოთ სოფლის მეურნეობა, რაშიც ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარია დაკავებული. მართალია დარგის განვითარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან უმნიშვნელო თანხები გამოიყოფა, მაგრამ სამაგიეროდ, კომუნისტური რეჟიმისგან განსხვავებით, ის არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განახევრებულ ფართობზე იხარჯება და მოსავლიანობის ზრდის მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა. ამ მხრივ განსაკუთრებული აღმოჩნდა წლევანდელი წელიწადი, როცა აგრარულ მთავრობად გარდაქმნილმა ხელისუფლებამ ამერიკული ჰიბრიდული სიმინდის მოვლა-მოყვანის კულტურის ეროვნულ მეურნეობაში დანერგვით მისი მოსავლიანობა არსებულთან შედარებით „2-3-ჯერ მაინც გაიზარდა“ და პირველად საქართველოს ისტორიაში მარცვალი უცხოეთში „საექსპორტოდ“ გაიტანა. ამ წარმატებაში, რომელმაც გლეხობა (განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშიძ მოგების ნაცვლად აზარალა, დიდია ახალგაზრდა მინისტრის (ამჟამად უკვე მოხსნილისძ წვლილი, რომელმაც პრეზიდენტისგან ჯილდოდ ბრწყინვალების ორდენი დაიმსახურა(!ძ. უნდა ვივარაუდოთ, რომ აგრარულ მთავრობად გარდაქმნილი ნაცმოელების ამ გამოცდილებას ქართული რეფორმებით დაინტერესებული უცხოელები უკლებლივ გამოიყენებენ.

და იმ გამოცდილებასაც, რაც განათლების რეფორმის წყალობით საქართველოში უკვე გაორებად დადგა. ამაში, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება მარტო სკოლებში 12-წლიანი სწავლების გადასახადების კატასტროფული ზრდა, მასწავლებელთა კადრების უმოწყალო შემცირება, საჩუქრად ფეისბუკებისა და კომპიუტერების დარიგება, ქვეყანაში ინგლისურენოვანი „სპეციალისტების“ შემოდინება და სრულიად საქართველოს გასინგაპურებასთან ერთად გაინგლისურების მცდელობა. ამავე რეფორმის მიღწევად უნდა მივიჩნიოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმაღლესი სასწავლებლის როლისა და მნიშვნელობის დამცრობა, კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაღაც საშუალო დონის კოლეჯად გადაქცევა, რომელსაც გამოცლილი აქვს ეროვნული სულიერება. **გაძარცვული და უფლებააყრილია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გაუქმებული და გასხვისებულია მისი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები. დარბეული და შელანძღულია ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, საიდანაც გამოასახლეს ჩვენი შესანიშნავი მათემატიკოსები და მანდატურები შეასახლეს(!).**

და კიდევ სხვა უამრავი „მიღწევა“, რომელთა ჩამონათვალს ეს პატარა საგაზეთო წერილი ნამდვილად ვერ დაიტევს. ერთადერთი, რის დამატებაც შემიძლია, მინდა ვურჩიო ქართველ რეფორმატორებს ახლავე გაიტანონ საექსპორტოდ უცხოეთში თავიანთი უნიკალური გამოცდილება, თორემ მერე (გადადგომის შემდეგძ შეიძლება დაგვიანებულიც აღმოჩნდეს. არადა აფსუსია, ხალხო, ამ საკაცობრიო საგანძურის დაკარგვა!

**ოთარ ხუციშვილი**

◉ აქტუალური თემა

# ვინ აგებს პასუხს, თუ წყლის მრიცხველი გაიყინა?!

**მაგიდაზე მიდევს მეზობლის პატარა გოგონას მიერ მოტანილი წერილი-სამახსოვრო, რომელსაც ხელს აწერს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.**

წერილი-სამახსოვროს მომტანს ვკითხე, ვინ მოგცა-მეთქი და ვილაც უცხო ბიჭები დადიოდნენ, წყლის მრიცხველები დაათვალიერეს და იმათ გამომატანესო.

წერილი-სამახსოვრო გულდასმით წავიკითხე და, სიმართლე გითხრათ, აღვშფოთდი იმ ცინიზმით, რაც იქ ეწერა. აი, ისიც (ტექსტის სტილი დაცულიაძ:

*„ძვირფასო აბონენტებო!*

*როგორც მოგახსენეთ, ბორჯომში განხორციელდა სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციის პროექტი. ამ პროექტის ფარგლებში თითოეული აბონენტისთვის მოეწყო ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძი, რითაც საშუალება მოგეცათ ნაცვლად სულადობრივი გადასახადისა, რომელიც ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდებოდა, მომხდარიყო დარიცხვა თითოეული ოჯახის მიერ ფაქტობრივად დახარჯული სასმელი წყლის რაოდენობის მიხედვით.*

*ზამთრის მოახლოებასთან დაკავშირებით, გთხოვთ უზრუნველყოთ საკუთარი აღრიცხვის კვანძის (წყლის მრიცხველის) შეფუთვა, რადგან მისი გაყინვის შედეგად დაზიანების შემთხვევაში ვალდებული იქნებით საკუთარი ხარჯებით აღადგინოთ აღრიცხვის კვანძი“.*

ერთი შეხედვით წერილში საგანგაშო არაფერია და კომპანია გვირჩევს შევფუთოთ და დავიცვათ ზამთრის ყინვებისგან მრიცხველები, რომლებიც ხშირად ბინიდან რამდენიმე ათეული მეტრით და უფრო შორსაცაა ჭაში ჩადგმული.

თუ შემთხვევით, რომელიღაც ბოროტმა პიროვნებამ ან ცელქმა მეზობლის ბიჭებმა ჭას თავი ახადეს და მრიცხველი დააზიანეს, პასუხი შენ მოგეთხოვება. წერილში იმაზეც არის საუბარი, რომ მრიცხველის გაყინვის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია „საკუთარი ხარჯებით აღადგინოს აღრიცხვის კვანძი“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სად ჩანს თვით კომპანიის როლი ამ მეტად გაუგებარ რჩევაში. საინტერესოა ისიც, ევალებოდა თუ არა კომპანიას მრიცხველის აბონენტზე გადმოცემისას, იგი შეეფუთა ყინვისაგან დასაცავად ან აბონენტისთვის ესწავლებინა, როგორ შეეფუთა ან შესაფუთი მასალა მოეტანა მათთვის. სამწუხაროდ, კომპანია ამ საკითხების გადაწყვეტით არც დაინტერესებულა და, ალბათ, აქეთ შემოგვედავება — მრიცხველის შეფუთვა ჩვენი საქმე არააო. კი მაგრამ, მე რომ შევფუთო მრიცხველი და უნებლიე მოძრაობით დაღდასმულ მრიცხველზე შემოხვეულ თმის ღერის სიმსხო ძაფი გავწყვიტო, 500-ლარიან ჯარიმას გადამახდევინებენ თუ არა, ამაზე არაფერს იწერებიან. და კიდევ ერთი და მეტად საგულისხმო მომენტი.

ამ წერილის გამოგზავნას ხომ არ აჯობებდა, კომპანიას აბონენტებთან შესაბამისი ხელშეკრულებები გაეფორმებინა, აბონენტს ცოდნოდა, რისი უფლებები აქვს და კომპანიის უფლება-მოვალეობაში რა შედის, თუნდაც წყლის ღირებულება პატიოსნად რომ გადავიხადოთ, როგორი ხარისხის წყალს მოგვაწოდებს, როგორი იქნება წნევა, წინასწარ გვეცოდინება თუ არა, როდის გაგვეთიშება წყალი და ა. შ.

ერთი სიტყვით, წერილმა ბევრი კითხვა წარმშოვა და აბონენტთა უმრავლესობის აღშფოთება გამოიწვია, ამის დასტურად რედაქციაში გამოგზავნილი წერილების სიუხვეც იკმარებს. აბონენტები გთხოვენ, ხმა მივაწვდინოთ კომპანიის ხელმძღვანელობას, რათა მკაცრი ყინვების დადგომამდე დროულად იზრუნოს მრიცხველების შეფუთვისთვის. აბონენტთა აზრით, ეს უპირველესად კომპანიის მოვალეობაა.

კიმპანიის ხელმძღვანელობამ იქნებ ამჯერად მაინც მოგვწეროს პასუხი.

**ვალერიან ლომიძე,**
**გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი**

◉ რეფორმები

# აღმოსავლეთ პარტნიორობა კეთილმეზობლობის გზით

**იმის გამო, რომ მსოფლიოში პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური და უამრავი სხვა სახეობის ურთიერთობა გამუდმებით იცლება, რასაც, თუნდაც, ბოლო დროს არაბულ სამყაროში მომხდარი ცვლილებები და მიმდინარე მოვლენები მოწმობს, მეზობლებთან ურთიერთობისადმი მიდგომა არ შეიძლებოდა ევროპის კონტინენტსაც არ შეხებოდა.**

ევროკავშირის მეზობლებთან დამოკიდებულებისადმი მიდგომის არსი ის არის, რომ ალიანსის თითოეულ პარტნიორ ქვეყანასთან იგი განსაკუთრებულ, მხოლოდ მასთან მისადაგებული მოკლე და გრძელვადიან პერიოდებზე ორიენტირებულ ურთიერთობათა დამყარებას აპირებს, რომლებსაც მკაფიოდ განსაზღვრული პრიორიტეტები ექნება. ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების მიმართ ინდივიდუალური მიდგომა, კერძოდ, იმას ნიშნავს, რომ იგი, უწინარესად, აღიარებს თითოეული ქვეყნის განსხვავებულობას და მისდამი გაწეული ნებისმიერი დახმარება ამ თავისებურებათა გათვალისწინებით იქნება შემუშავებული. ამასთან, ევროკავშირის საგარეო უწყებაში ასევე აცხადებენ, რომ რესურსებს, პირველ ყოვლისა, ის ქვეყნები მიიღებენ, ვინც რეფორმებს უფრო საფუძვლიანად და სწრაფად გაატარებენ.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ **ევროკავშირის ახალი სამეზობლო პოლიტიკა ძირითადად სამ სფეროზე — დემოკრატიის გამყარებაზე, ეკონომიკურ განვითარებასა და სამეზობლო სივრცის კავშირების გაღრმავებაზე იქნება ორიენტირებული. მათ შორის განსაკუთრებით აღინიშნება პოსტსაბჭოთა სივრცის ექვსი ქვეყნის — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, ბელორუსისა და მოლდოვას მომცველი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა.**



კერძოდ, მომავალი ორი წლის განმავლობაში ევროკავშირი თავის სამეზობლო ქვეყნებს დამატებით მილიარდ 250 მილიონ ევროს ოდენობის ფინანსურ რესურსს გამოუყოფს დახმარების სახით. ამ გადაწყვეტილების ფრთაშესხმა მნიშვნელოვნად შეცვლის ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობლებთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ამასთან, მაღალი რანგის მოხელეთა რამდენიმე ხნის წინანდელი განცხადებით, კონკრეტული ქვეყნებისთვის **კონკრეტული დახმარება მათ მიერ გატარებულ დემოკრატიულ რეფორმათა ეფექტიანობასა და სისწრაფეზე იქნება დამოკიდებული.** აღნიშნავენ იმასაც, რომ 1,25 მილიარდი ევრო იმ 5,7 მილიარდ ევროს დამატებაა, რომელიც ევროკავშირმა მანამდე სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთისა და აღმოსავლეთ ევროპის იმ ქვეყნებისთვის გამოყო, რომლებიც ამ ორგანიზაციაში გაწევრებას აპირებენ, მაგრამ ეს სტატუსი ჯერ მიღებული არ აქვთ. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ექსპერტები იმასაც მიუთითებენ, რომ სამეზობლო პოლიტიკის გადახედვა პირდაპირაა დამოკიდებული არაბულ სამყაროში მიმდინარე ძირეულ ცვლილებებზე და მას ფრთიანი გამოთქმით „უფრო მეტი — უფრო მეტის სანაცვლოდ" გამოხატავენ. უფრო კონკრეტულნი რომ ვიყოთ, აღვნიშნავთ, რომ ეს თეზისი გულისხმობს, რომ **შიდა რეფორმების სხვებზე უფრო სწრაფად და ეფექტიანად განმახორციელებელი ქვეყანა, მით უფრო ადრე და უფრო მეტ დახმარებას მიიღებს ევროკავშირისგან.** შესაბამისად, „რეფორმატორული" თვალსაზრისით ჩამორჩენილი ქვეყნები ფინანსურ დახმარებასაც უფრო მწირი ოდენობით და სხვებზე უფრო გვიან მიიღებენ. ანუ, როგორც მასმედიაში ენამწარობენ, ამ შემთხვევაში პრინციპი „ნაკლები — ნაკლების სანაცვლოდ" ამოქმედდება. ამასთან დაკავშირებით ევროკავშირის ოფიციალურ დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ იმ ქვეყნებს, რომლებიც რეფორმების განხორციელებაზე არ ზრუნავენ, ორგანიზაციის მხრიდან მათთვის ფინანსური დახმარების შემცირების საფრთხე ემუქრებათ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროკავშირი უდიდესი ყურადღებით დააკვირდება ზემოაღნიშნულ პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნებში სოციალური, ეკონომიკურ-ფინანსური და პოლიტიკური რეფორმების მიმდინარეობის პროცესების მიმართულებასა და მათ ინტენსივობას, მატერიალური წახალისებაც დამსახურებული შეფასებებისდა მიხედვით მოხდება: „ფრიადოსნები" უფრო მსუყედ წახალისდებიან, „ოროსნები" — შედარებით „მჭლედ".

ამასთან, **დემოკრატიის შემდგომი განვითარების ხელშესაწყობად და დემოკრატიზაციის პროცესების მხარდასაჭერად ევროკავშირი დემოკრატიის ევროპის ფონდის შექმნის ინიციატივით გამოდის, რომლის მოღვაწეობის მიზანი სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის ამაღლებისთვის მებრძოლი პოლიტიკური ძალებისა და მათი ლიდერების მხარდაჭერაა.** საგულისხმოა ის მიმართულებები, რომლებიც ევროკავშირში დემოკრატიზაციის გზაზე საზოგადოებრივი ყურადღების პრიორიტეტებს უნდა წარმოადგენდნენ. ესენია, უპირველესად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, მოქალაქეთა მიერ საკუთარი აზრის გამოხატვის, გაერთიანებებისა და შეკრებების თავისუფლება, ზეწოლისგან თავისუფალი მედია, კანონის უზენაესობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა, აგრეთვე სამართალდამცავი და უშიშროების სექტორების რეფორმა.

რაც შეეხება ორმხრივ ურთიერთობათა ეკონომიკურ მდგენელს, ევროკავშირში აღნიშნავენ, რომ **ეკონომიკური რეფორმების გატარების მსურველ ქვეყნებს ინვესტიციათა დაცვის გაფართოებულ სქემას შესთავაზებენ, რომელიც ორგანიზაციის, ასე ვთქვათ, „სამეზობლოში" ინვესტორების იურიდიულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.**

უნდა ითქვას, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისგან, ასევე მოლდოვისა და ბელარუსისგან განსხვავებით, ყოვლისმომცველი ვაჭრობის ზონის თაობაზე მოლაპარაკებებს ჯერჯერობით მხოლოდ უკრაინა აწარმოებს. თუმცა ბრიუსელში აღნიშნულ სხვა ქვეყნებთან, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთანაც ანალოგიურ მოლაპარაკებათა გამართვასა და, შესაბამისად, შედეგად, სავაჭრო დათმობებზე წასასვლელად სხვა ქვეყნებთანაც აპირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საამისოდ ჯერჯერობით მზად არ არიან. მათ შორის, **რაც შეეხება, კერძოდ, საქართველოს, ევროპელი პარტნიორები ხელისუფლებას აზრთა პლურალიზმის უფრო მეტ ხელშეწყობასა და, შესაბამისად, პოლიტიკური მედიისთვის მეტი თავისუფლების მიცემისკენ მოუწოდებენ. ხაზგასმულია ასევე ზოგიერთი სხვა საკითხი, მაგალითად, უმცირესობათა უფლებების დაცვისა და მათ წარმომადგენელთა საზოგადოებაში ინტეგრირების გაუმჯობესება, მაღალ ეშელონებში კორუფციის აღმოფხვრა და სხვა.**

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ პოლიტიკოსები და პოლიტიკანები

# არასაგაზეთო და საგაზეთო ჩანაწერები

**29 ნოემბერი, ტელეკომპანია „მაესტრო", პირველად, პირდაპირ ეთერში, ტელეარხს სტუმრობს ბიძინა ივანიშვილი... ველოდი ჩვეულებრივ ინტერვიუს, საუბარს, საპროგრამო განცხადებებს, საზოგადოების მხრიდან გაჩენილ კითხვებზე პასუხებს და მრავალფეროვან აუდიტორიისთვის გასაგებ განმარტებებს... მაყურებელმა ბატონ ივანიშვილისგან ცოტა რამ მიიღო და, შეიძლება ვივარაუდოთ, არ დაკმაყოფილდა — მე კი სხვა რამ მივიღე, რასაც არ ველოდი და, რაც გაცილებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვიდრე ივანიშვილის მიერ ფილოსოფიური ექზერსისებით შეზავებული პასუხები. ეს „სხვა რამ" იყო თვით ბიძინა ივანიშვილი — ადამიანი — მისი ინდივიდუალური თვისებებით, მისი ტემპერამენტით, მიდრეკილებებით და... ხარვეზებით. რასაკვირველია, ტელეეკრანი ამცირებს, ზღუდავს და ოდნავ ცვლის რეალობას — ადამიანის ზუსტად აღქმის ალბათობას ამცირებს. ამიტომ, ამ ჩანაწერებს „არასაგაზეთო" ვუწოდე.**

**მისი სწრაფი და ცოცხალი საუბარი** ერთობლივ ზოგად გატაცებულობაზე (შესაძლებელია აზარტულობაზეც კიძ მეტყველებს.

**მისი დაჟინებული თავაზიანობა, ყოველ წუთს კეთილგანწყობის დემონსტრირება და ხაზგასმული გულწრფელობა** მართლაც ჩინებული, გაწაფული და გამოცდილი ბიზნესმენის ხელწერაა.

**მისი „უსაზღვრო ოპტიმიზმი"** ერთგვარად ბუნებით მეოცნებე ადამიანზე მიგვანიშნებს. ასეთი ადამიანების ნაირსახეობას რომანტიულობაც ახასიათებთ. მაშინ გასაგებია, როგორ და საიდან გაჩნდა სახელწოდება „ქართული ოცნება".

**მისი თვალის თვალში გასწორების ჩვევა,** როგორც გულწრფელობის მანიშნებელი, ან ბუნებრივი თვისებაა, ან ფიზიოგნომიკის შესწავლის შედეგად კარგად ათვისებული ხერხი.

მისი საყვარელი თემები... მნიშვნელობა არ აქვს რამდენია ასეთი თემა — სამი თუ თხუთმეტი — საინტერესოა სხვა რამ: საყვარელი თემები ივანიშვილს ისე იზიდავს, რომ მზადაა რომელიმე მათგანი სასაუბრო თემას „მიაბას" ან დაუკავშიროს.

**მისი პრიორიტეტები,** გარდა სახელმწიფო ინსტიტუტების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლოძ მოწესრიგებისა: ტურიზმი; სოფლის მეურნეობა; მაღალი ტექნოლოგიები და, ეტაპობრივად, სოციალური უზრუნველყოფის დონის ამაღლება. ამის გარდა პოლიტიკური ვექტორი ასეთია: ევროკავშირთან შემდგომი დაახლოება; ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატოშიძ გაწევრება; რაღაც ფორმით (?ძ რუსეთთან მოლაპარაკებების გამართვა საქართველოს მთლიანობის აღსადგენად.

**მისი საკუთარი „მე"** მთელი საუბრის განმავლობაში მეტად მკაფიოდ ისმოდა. ეს ქვეცნობიერი (კომპლექსს ნუ დავარქმევთ — თავი შევიკავოთძ, შეიმჩნეოდა მეტყველებაში, წინადადებათა წყობაში („მე" ჟღერდა მაშინაც, როდესაც მისი ხმარება მაინცდამაინც არ იყო საჭირო — ნათქვამი მსმენელისთვის ისედაც სრულიად გასაგები გახლდათძ.

**რამ შეიძლება უმტყუნოს ბიძინა ივანიშვილს?**

**პირველ რიგში** მისმა ჯერ ჩამოუყალიბებელმა გუნდმა. როგორც ახალბედა პოლიტიკოსი, ის ჯერ ვერ ხვდება, რომ, ბიზნესისგან განსხვავებით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პარტნიორობა, თანამშრომლობა თუ ურთიერთობა ხარისხობრივად (და, აქედან გამომდინარე, შედეგობრივადძ, სულ სხვა რამაა. სამწუხაროდ, ასეთ სიტუაციაში მას შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს ჩვეულმა ცხოვრების სტილმა და ისეთმა ჩვევებმა როგორებიცაა:

ფსიქოლოგიით სერიოზულმა გატაცებამ;

ფილოსოფიურმა თვითძიებამ;

ურთიერთობების დასამყარებლად საკუთარ წარსულზე დაყრდნობამ — პოლიტიკაში პარტნიორობა, თანამშრომლობა თუ ურთიერთობა სულ სხვა პრინციპებით ყალიბდება და ლიდერისგან მოითხოვს (თითქმის ცინიზმამდე აყვანილძ, აბსოლუტურ, მიუკერძოებელ პრაგმატულობას.

**მეორე,** ის, რაც შესაძლოა მისთვის დიდ დაბრკოლებად იქცეს:

მეტისმეტად სწრაფი და „ახალგაზრდულად" ცოცხალი საუბრის მანერა. საერთოდ პოლიტიკაში ნებისმიერი სახით თუ ფორმით აჩქარებას საზოგადოება არ იწონებს — არასერიოზულობის, არასანდოობის ნიშნად თვლის.

ხაზგასმული თავაზიანობა. არც ამასაა შეჩვეული ჩვენი თანამედროვე „საშუალო არითმეტიკული" მოქალაქე. ის უფრო პოლიტიკოსის ქცევა-პლასტიკას აკვირდება და მოსწონს როდესაც „ამას თვითონ ამჩნევს". ასეთ „აღმოჩენას" ის საკუთარ მიღწევად აღიქვამს.

თვალის თვალში გასწორების ჩვევა კეთილგანწყობის და გულწრფელობის დასამტკიცებლად, სარისკოა, ვინაიდან შემდგომში ამ კეთილგანწყობის და გულწრფელობის დანაპირებიდან ოდნავი გადახრაც კი პოლიტიკოსს ძვირი უჯდება.

საკუთარი „მე"-ს უნებლიე დემონსტრირება გადამეტებულია — საზოგადოებამ



პოლიტიკოსისთვის ეს უმნიშვნელოვანესი პირადული თვისება (რომელსაც თვითონ ქარიზმას უწოდებსძ, დამოუკიდებლად, „კარნახის" გარეშე უნდა ამოიკითხოს და გაითავისოს.

ყოველივე ზემოთქმული შეიძლება წინასიტყვაობად ჩაითვალოს, ვინაიდან ამ მასალაზე მუშაობისას მოხდა კიწმარიშვილის შევარდნა „მაესტროში".

ყოველივე მომხდარმა მომაგონა, რუსეთში გავრცელებული და, უკვე ტრადიციად ქცეული, ბიზნესის დაყაჩაღების, ეგრეთ წოდებული „რეიდერობის" მცდელობა. პირადად ჩემთვის ეს სულაც არ იყო მოულოდნელი — „საქართველოს რესპუბლიკის" ამა წლის 1 ივლისის ნომერშიეროსი კიწმარიშვილს პოლიტიკანი ვუწოდე და განვმარტე კიდეც რატომ „პოლიტიკანი" და არა „პოლიტიკოსი": „არაფერი არ არის გასაკვირი იმაში, რომ პოლიტიკანი წაგებული მოედნიდან ახალ მოედანზე გადანაცვლებას ცდილობდეს — ეს ბუნებრივია... პოლიტიკანი (ფრ. Politiquantძ — ადამიანი, რომელიც (პოლიტიკოსისგან განსხვავებითძ პრინციპულ პოლიტიკურ საკითხებს, შეგნებულად (ხშირად პირადი ანგარების მიზნითძ სხვა, მეორეხარისხოვან, ნაკლებად მნიშვნელოვან, არაპრინციპულ საკითხებზე ცვლის. არის სხვაც, ამ შემთხვევისთვის შესაფერისი ეპითეტი, მაგალითად: ინტრიგანი (ფრ. Intrigantძ, დემაგოგი (ბერძნ. Demagogosძ...".

დავუბრუნდეთ „რეიდერობის" მცდელობას, რომელსაც, როგორც წესი, პოლიტიკასთან არაფერი აქვს საერთო. სხვა ამბავია თუ რეიდერს რომელიმე პოლიტიკური ძალა საკუთარი ინიციატივით იყენებს მისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამ შემთხვევაში დიდი მნიშველობა არა აქვს ესმის თუ არა პოლიტიკის ჩარევის არსი რეიდერს — ეს მისი ზნეობის პრობლემაა.

„მაესტროს" შემთხვევაში კიწმარიშვილს საბოლოოდ ჩამოეხსნა ნიღაბი და მთელი თავისი არსებით მოგვევლინა, როგორც ყოველმხრივ „დახურდავებული", წვრილმანი „ქურდბაცაცა"... სირცხვილი და თავის მოჭრაა, რომ ეს ადამიანი სრულუფლებიანი ელჩის რანგში საქართველოს წარმოადგენდა...

**მალხაზ ჟვანია.**

**ექსპერტი პოლიტტექნოლოგიების საინფორმაციო პოლიტიკის დარგში.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უმუშევრობის პრობლემას თბილისი რეალითი შოუდ აქცევს

**ამ ცოტა ხნის წინათ იტალიის პრემიერ-მინისტრის პოსტიდან სილვიო ბერლუსკონის გადადგომა ფართოდ შუქდება საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. როგორც იტალიაში, საქართველოშიც, როგორც ჩანს, უჩვეულო არასტანდარტული პოლიტიკური მოღვაწეები. როგორც იტალიაში, საქართველოშიც შეინიშნება უმუშევრობის მაღალი დონე. მაგრამ, იტალიისგან განსხვავებით, საქართველოში აწყდებიან ამ პრობლემის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. მას ტელევიზიას უწოდებენ.**

უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში საქართველო საერთაშორისო გაერთიანებების მხრიდან ხშირად იყო შექებული ეკონომიკური რეფორმების გამო, რომლის დროსაც შეძლეს აემაღლებინათ ბიუროკრატიული მანქანის მუშაობის ეფექტიანობა, გაეადვილებინათ შრომითი და საგადასახადო კანონმდებლობა და გაემარტივებინათ ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. ამავე დროს ქვეყანაში შენარჩუნებულია უმუშევრობის მაღალი დონე, რომელიც ვერაფრით ვერ დაეშვა 15,5 პროცენტის ნიშნულის დაბლა. უმუშევრობის დონე დღეს სამი პროცენტით უფრო მაღალია, ვიდრე 2004 წელს, როდესაც მიხეილ სააკაშვილმა რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტის სადავეები აიღო თავის ხელში. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ უმუშევრობის რეალური დონე ოფიციალურ მონაცემებზე უფრო მაღალიც კია. 1616 რესპონდენტიდან, ვინც სექტემბერში ეროვნულმა დემოკრატიულმა ინსტიტუტმა გამოკითხა, 67 პროცენტმა თავისი თავი უმუშევრად დაასახელა.

ერთ წელზე ცოტა ნაკლები ხნის შემდეგ საქართველოში უნდა გაიმართოს პარლამენტის არჩევნები, და სავსებით შესაძლებელი იქნებოდა გვევარაუდა, რომ სამუშაო ადგილების უკმარისობამ შეიძლება გამოიწვიოს რესპუბლიკაში პოლიტიკური კრიზისის ან რაიმე „დაიკავე თბილისის" მსგავსი აქციის პროვოცირება. ამის ნაცვლად გაჩნდა სატელევიზიო შოუ.



ყოველდღიურად ეროვნულ სამთავრობო ტელეარხ „რუსთავი-2"-ზე ეთერში გადის პროგრამა სახელწოდებით „დასაქმდი და დაასაქმე" თბილისის მერიისა და სააკაშვილის მთავარი პოლიტიკური პროტეჟეს გიგი უგულავას, აგრეთვე სამი პროსამთავრობო ეროვნული ბანკის ხელმძღვანელების მონაწილეობით, რომლებიც ერთად განიხილავენ განცხადებებს კრედიტების გაცემის შესახებ ახალი ბიზნესის გასახსნელად. პრეტენდენტები, რომელთა პროექტებსაც კომისიის წევრები მიიჩნევენ პერსპექტიულად, ღებულობენ სუბსიდიებს დედაქალაქის მუნიციპალიტეტიდან.

ბანკირების სამეულში შედიან ექსპრემიერი ვლადიმერ გურგენიძე, რომელიც დღეს „ლიბერთი ბანკის" გენერალური დირექტორია; „საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ძმა ირაკლი გილაური და „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძე. მომღიმარი მთავარი ხაზინადარი უგულავა, რომელიც, როგორც ელოდებიან, კენჭს იყრის პრეზიდენტის პოსტზე 2013 წელს ამ პოსტზე სააკაშვილის უკანასკნელი ვადის გასვლის შემდეგ, ბანკირებთან ერთად აწარმოებს გასაუბრებას კრედიტების მიღებასთან დაკავშირებით, ზოგჯერ პრეტენდენტებს მამაშვილურ დარიგებასაც კი აძლევს. „ეს მეტად სერიოზული ტვირთია ახალგაზრდა გოგონასათვის, რომელიც ახლა იწყებს ცხოვრებას", — უწინასწარმეტყველებს იგი ერთ-ერთ კონკურსანტ გოგონას.

რომელიმე ბიზნესწინადადების მოწონების შემდეგ ქალაქი გამოყოფს სახსრებს დაკრედიტებისთვის მუნიციპალიტეტის ფონდიდან, რომელიც ამჟამად 1 მილიონ ლარს (600 ათას დოლარს) შეადგენს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგი კობა თურმანიძე პროგრამაში პოლიტიკურ მოტივებს ხედავს, აღნიშნავს, რომ ეს ყოველივე კარგად აისახება ქართველი ამომრჩევლების „განწყობილებაზე", რომლებიც ცდილობენ, განსაზღვრონ, თუ ვის დაუჭირონ მხარი არჩევნებზე. „ამომრჩევლები სულელები როდი არიან, თუნდაც არჩევნები ნაწილობრივ თავისუფალიც იყოს", — ამბობს იგი. ოპოზიციურ პოლიტიკოსს შეუძლია მოგვცეს დაპირება, რომ მოახდენს „ამა თუ იმ საქმის ლიბერალიზაციას". მაგრამ ამომრჩეველს არ აქვს შესაძლებლობა გაიგოს შესრულდება თუ არა ეს დაპირებები, ხაზგასმით აღნიშნავს პოლიტოლოგი. სატელევიზიო პროგრამა კი არის საშუალება, რომელიც გიგი უგულავას აძლევს შესაძლებლობას, უთხრას მაყურებლებს და პოტენციურ ამომრჩევლებს, რომ მას შეუძლია შექმნას საგრძნობი შესაძლებლობანი დასაქმების სფეროში. „ასე რომ, მისი დაპირებები გაცილებით მეტი იქნება რწმენაზე", — ასკვნის იგი.

პროგრამის მსვლელობის დროს ეთერში გადის სარეკლამო რგოლები, რომლებშიც საუბარია მერის საქმიანობის სხვა ასპექტების შესახებაც. მაგალითად, 27 ნოემბრის პროგრამაში უგულავა მთელი ენთუზიაზმით აღვსილ „რუსთავი-2"-ის წამყვანთან ერთად მიემგზავრება საავტომობილო ტურში თბილისის მიდამოებში, რათა წარმოაჩინოს ავტობუსების ახალი ელექტრონული განრიგები და ექსტრემალური სამსახურების მშვენიერი ქოლ-ცენტრები, აგრეთვე განმარტოს, თუ ახალი სწრაფი ავტომაგისტრალის მშენებლობა როგორ დაეხმარება თბილისის მცხოვრებლებსა და სტუმრებს: შეამცირონ დრო გზაში. ტელეარხი „რუსთავი-2" ასევე გამოვიდა აგიტატორის როლში, რომელსაც ცამდე აჰყავს უგულავას მიერ წარმოდგენილი პროექტები.

თურმანიძის შეხედულებით, ტელეპროგრამა „წინასაარჩევნო აგიტაციაა". მერია ამ იდეას სასაცილოდ იგდებს, უარყოფს, რომ ტელეპროგრამა როგორღაც არის დაკავშირებული მომავალ პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნებთან. ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის ზვიად არჩვაძის მტკიცებით, ტელეშოუ არის ბიზნესის დაკრედიტების ხუთწლიანი პროგრამის მხოლოდ გაგრძელება და მიზნად ისახავს ილუსტრაციულად წარმოადგინოს ბანკების მიერ სესხების გაცემის პროცესი. პროგრამის დაწყებიდან გასული პერიოდის განმავლობაში, ნოემბერში, მოიწონეს კრედიტებზე „ოცზე მეტი" განაცხადი, — დაუმატა მან.

სატელევიზიო შეთანხმების პირობები ქალაქსა და კერძო კომპანია „რუსთავი-2" შორის არ ხმაურდება.

ეკონომისტ ვლადიმერ უგულავას (თბილისის მერის მოგვარეა), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის სიტყვებით, შოუმ შეძლო გამოეკვლია რეალური „შემაკავებელი ფაქტორი" სამუშაო ადგილების შექმნის გზაზე — ეს არის ხელმისაწვდომი კრედიტების უქონლობა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წელს საშუალო გაწონასწორებული პროცენტი სესხებთან დაკავშირებით ქართულ ვალუტაში (ლარებში) 22,6 პროცენტს შეადგენს.

ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა კიდევ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მერი უგულავას და ბანკების სამი ხელმძღვანელის ხანმოკლე საუბარი კრედიტის მიღების პრეტენდენტებთან. „უკეთესი იქნებოდა, თუ ეს ბანკები გასცემდნენ სასტარტო კრედიტებს (ახალი ბიზნესის შესაქმნელად)", — აღნიშნავს იგი.

ეკონომისტი დავით ნარმანია კი მიიჩნევს, რომ დასაქმების სახელმწიფო პროგრამები უფრო ეფექტიანი იქნებოდა, თუ მეტ ორიენტაციას აიღებდნენ ხანგრძლივ პერსპექტივაზე. „მთავრობა ახდენს სხვადასხვა სფეროს და საქმიანობის მიმართულების რეფორმირებას, მაგრამ მეტად შეზღუდული პერიოდისთვის, — ამბობს სპეციალისტი. — ბიზნესისა და ინვესტიციებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივ სტაბილურობას, რომ შეიძლებოდეს ბიზნესის განმტკიცების დაგეგმვა და ბიზნესპოლიტიკის განსაზღვრა".

EURASIANET.ORG

## მიხეილ თავხელიძე: „რუსეთში მიმდინარე პარლამენტის არჩევნები რუსული ავტორიტარიზმის კუბოში კიდევ ერთი ლურსმანია"

მსგავსი შეფასებები ქართველმა ექსპერტებმა რუსეთში მიმდინარე პარლამენტის არჩევნებს ინტერნეტ-საიტების დაბლოკვის, ოპოზიციონერთა მხარდამჭერების დაკავებისა და ქუჩებში სამხედროების გამოყვანის გამო მისცეს.

**„ეს არის ჩვეულებრივი ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი ფორმალური პროცედურა, რომელიც ამ რეჟიმისთვის საშიშია, რადგან სახალხო უკმაყოფილება დაგროვილია, ამიტომ მშვიდად ამ პროცედურას ვერ ატარებენ და იყენებენ ისეთ ძალისმიერ მეთოდებს, როგორიცაა დაპატიმრება, სამხედროების ქუჩებში გამოყვანა და ასე შემდეგ",** — განაცხადა პოლიტოლოგმა ვასილ ჭყოიძემ.

პოლიტოლოგ მიხეილ თავხელიძის აზრით კი, **„რუსეთში მიმდინარე პარლამენტის არჩევნები რუსული ავტორიტარიზმის კუბოში კიდევ ერთი ლურსმანია".**

**„კრემლის თვალსაზრისით, ეს არჩევნები რუსეთის ხელისუფლებას უფრო გაამყარებს და მმართველობის ვადას მინიმუმ 12 წლით გაუხანგრძლივებს, ბედმა თუ გაუღიმა, შეიძლება, სიცოცხლის ბოლომდეც",** — განაცხადა თავხელიძემ.

# დედამიწის ზურგზე



**ირანმა გამოაცხადა, რომ ჩამოაგდო და ხელში ჩაიგდო ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი. აშშ-მა ამის შესახებ არ იცის**

თეირანი ამტკიცებს, რომ უპილოტო დაზვერვის თვითმფრინავმა მიიღო მცირე დაზიანება და ამჟამად სამხედროების ხელთაა. უფრო ადრე ნატო იტყობინებოდა, რომ ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი, რომელიც ავღანეთის თავზე მიფრინავდა, ასცდა კურსს და დაიკარგა. ამერიკელი სამხედროები არ მიიჩნევენ ირანის განცხადებას სიმართლედ.

* * *

**ჟიოევას სიტყვები ბლეფი აღმოჩნდა: სამხრეთმა ოსეთმა ხმა მისცა „ედინაია როსიას"**



ოპოზიციის ლიდერმა, რომელიც წინასწარმეტყველებდა თავისი მომხრეების ქცევას სახელმწიფო დუმის არჩევნებში, თავად მოუწოდა ხალხს მივიდნენ საარჩევნო უბნებზე. შედეგად დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების მომხრეებმა ერთხმად მისცეს ხმა ხსენებულ პარტიას. „ოსები არ ყოფილან რუსეთის წინააღმდეგ და არც იქნებიან".

* * *

**მაღალი საზოგადოების დასასრული ეგვიპტეში: ხელისუფლებას ქვეყანაში გაიყოფენ რადიკალური და ზომიერი ისლამისტები**



ხმების უმრავლესობას ღებულობს მუბარაკის დროს ექსტრემიზმისთვის აკრძალული თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტია — დაახლოებით ხმების 40 პროცენტი. უფრო რადიკალური სალაფიტური სინათლის პარტია — დაახლოებით 25 პროცენტი. მაღალი საზოგადოების პარტიებიდან ყველაზე გავლენიანი — ეგვიპტის ბლოკი — 15 პროცენტი, დანარჩენი ლიბერალები — დაახლოებით 15 პროცენტი.

* * *

**ნიუ-იორკში დააპატიმრეს მოძრაობის „მოახდინე უოლსტრიტის ოკუპაცია" აქტივისტები, რომლებმაც შიმშილობა გამოაცხადეს**



მოძრაობის წარმომადგენელმა გამოთქვა ვარაუდი, რომ დაპატიმრება მოხდა წმინდა სამების ეკლესიიდან შემოსული საჩივრის საფუძველზე, რომლის გამგებლობაშიც არის დუარტეს მოედანი. ეს მოედანი მოეწონათ მოძრაობის მონაწილეებს, რომლებიც ეძებდნენ ახალ ადგილს „ოკუპაციისთვის" მათი ზუკოტის სკვერიდან გამოძევების შემდეგ.

* * *

**ორი საგრძნობი მიწისძვრა მოხდა ავარიული ატომური ელექტროსადგურის „ფუკუსიმა-1"-ის მახლობლად**



ღამით ფუკუსიმის რაიონში შეიგრძნობოდა მიწისქვეშა ბიძგები 4,4 მაგნიტუდით, ეპიცენტრი იყო მაიაგის პრეპექტურაში, კერა კი 50 კილომეტრის სიღრმეზე. მას მოჰყვა მეორე 5,1 ძალის მიწისძვრა. ატომური ელექტროსადგურის ოპერატორი კომპანია არ იტყობინება რაიმე დარღვევაზე სადგურის მუშაობაში.

* * *

**იტალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ხელფასზე უარი განაცხადა**

„დავიწყოთ საკუთარი თავიდან", — ასეთი პრინციპი გამოაცხადა მარიო მონტიმ, რომელიც ამ თანამდებობაზე დაინიშნა 13 ნოემბერს სილვიო ბერლუსკონის გადადგომის შემდეგ. მონტიმ განმარტა, რომ მანამ, სანამ გავაძლიერებთ კრიზისის დროს საგადასახადო ზემოქმედებას იტალიელებზე, მთავრობამ გადაწყვიტა, შეამციროს „ხარჯები პოლიტიკაზე".



საგანძური

# სულთნის საჩუქარზე უმჯობესი




## ფირდოუსის ქართულად გამოცემის გამო

**აბულ ყასემ ფირდოუსი თუსი მსოფლიო პოეზიის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. მისი უკვდავი „შაჰ-ნამე“ 105 ათას სტრიქონს შეადგენს. პოემა-ეპოპეის სიდიდე რომ უკეთ გავისიგრძეგანოთ, შევიხსენოთ: „ვეფხისტყაოსანი“ შვიდ ათასამდე სტრიქონს გულისხმობს. აბუ-მანსურისეული პროზაული „ესე ამბავი სპარსულის“ მარგალიტებად დაჯრას მგოსანმა ოცდაათზე მეტი გრძელი წელიწადი მოანდომა და ასე მივიღეთ გმირული შემოქმედებითი წვის გვირგვინი.**



ცნობილმა პოეტმა ბელა შალვაშვილმაც ოცდაათზე მეტი გრძელი წელიწადი უკირკიტა სპარსულ ტექსტს და პოემის მესამედი გვითარგმნა. და აი, ხელთა გვაქვს ლამის ათასგვერდიანი უზარმაზარი ფორმატის წიგნი. იგი გამოვიდა ირანის ისლამური რესპუბლიკის კულტურისა და ისლამურ ურთიერთობათა ორგანიზაციის წარმომადგენლების ფინანსური შემწეობით. რედაქტორია ლილი ჟორჟოლიანი. გამომცემლობა „ნეკერი“.

არაერთი ადრინდელი თარგმანი საკმაოდ უმწეოდ გამოიყურებოდა და ერთობ შორეულ წარმოდგენას გვიქმნიდა სიტყვის ირანელ ჯადოქარზე. აბა, რა ბარაქას დააყრიდა საქმეს ასეთი უხეში შეცდომებით გაჯერებული ბეითები: „და მომისმინეთ ნაღვლიანი ამბავი ერთი“ ან კიდევ: „ერთ დღეს როსტომი ზე წამოდგა დილასისხამთან“ და კიდევ უფრო უარესი: „როსტომის გულის ტრფიალი ხომ კანჯრის მწვადია!“

ბელა შალვაშვილი, რომელსაც მთარგმნელი კალამი ვახუშტი კოტეტიშვილმა დაულოცა, ამგვარ შეცდომებს სათოფეზედაც არ იკარებს. სამუქფოდ ფაქიზად უჭირავს ხელში „მარადიული წიგნის ძაფი“ და ლამობს, რაც შეიძლება ახლოს მივიდეს „ღვთაებრივთან“. მას დიახაც გაუთვალისწინებია „ჰაქიმის“ სწავლება: „აწონვა უნდა არა ოქროს, არამედ – სიტყვას“ (614ძ. ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც თარგმნილ ტექსტში თავს იწონებს ამგვარი მადლიანი თქმები: „დასრულდა წიგნი; კალმის ცრემლი გააშრო ქარმა“ (651ძ; „მოგეხსენებათ, ვეფხს ამ მთებში ზურგი რომ დარჩა“ (292ძ; „ჩამოირბინა მდუმარებამ თანხმოვნის ნიშნად“ (48ძ.

ბელა შალვაშვილი ესთეტიკური მიმართულების პოეტია და ცდილობს, დედნისეული მშვენება რითმის ძიებას არ შესწიროს (ამ მხრივ მკაცრად ითვალისწინებს ფირდოუსისა და რუსთაველის პოეზიასძ:

**გვერდით ერთურთის დასხეს,**
**როგორც მტრედის ხუნდები,**
**გადააფრქვიეს მრავლად**
**ოქრო, იაგუნდები** (182ძ.

ზევრი ბეითი ისეა გადმოღებული, შორეულად რუსთაველის სტილიც რომ შევიგრძნოთ:

**მერმე მიბრუნდა, ქაუსს უთხრა: დიდო მეფეო,**
**მე მხოლოდ შენდა**
**სასიკეთოდ დავიყეფეო** (199ძ.

ვგონებ, ამგვარსავე აზრზე დაგვაყენებს ეგ წყვილეულიც:

**მუშკ-ამბრის წვიმა**
**მოიფრქვევა ამოდ, ნელიად,**
**ამ ნეტარებას**
**არ მინებდეს, არ-რომელია** (246ძ.

გამოთქმის სილაღე-სიმსუბუქით, ნაცნობი სტილით საცნაურია მომდევნო ბეითიც:

**ალაპარაკდა, თანდისთანად**
**აკვნესდა რუდი,**
**ღვინის, შარბათის მორაკრაკე**
**ათასი რუ დის** (279ძ.

სიძველის სურნელისა და კოლორიტის შენარჩუნებაში ჯეროვან როლს ასრულებს დროულად გამოყენება შემდეგი ხატოვანი სიტყვებისა: ალჩნდა, უშქარი, გარდანქეზანი, ეზგური, იათიათა, დია, მძნელობა, გამივაზირა, აქვნდა, ესდენ...

სამოცდაექვსი წლის მოშაირეს, რომელიც დიდხანს ამაოდ ელოდა სულთან მაჰმუდ ღაზნევისაგან კეთილ სიტყვასა და გმირული შრომის ანაზღაურებას, დასცდა სოფლის სამდურავი, აწ კი ასერიგად აჟღერებული:

**ჩემზე უფროსიც და**
**უმცროსი ქვეყნად ბევრია,**
**მეც მომერევა, რაც ჩემამდე**
**ბევრს მოერია** (959ძ.

რუსთველს უთქვამს: „რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან“.

ათასი ჭირითა და სალმობით გულგასენილმა, ეულმა, მიუსაფარმა და ღატაკმა მგოსანმაც ვერ გაუძლო ჭირთათმენას და მიიცვალა. ამ დროს მისი დიდება კიდით კიდემდე ქუხდა, ბოლოს და ბოლოს ამ დიდებამ ღაზნევის ყურამდეც მიაღწია, მაგრამ რაღა დროს! ქალაქის ერთ გალავანში რომ სულთნის საჩუქრით ატვირთული აქლემი შემოდიოდა, მეორე მხრიდან გავიდა აქლემი, რომელსაც პოეტის ცხედარი სასაფლაოსკენ მიჰქონდა.

თუმცა სიკვდილს უკვდავებასთან რა ხელი აქვს: მეწამულყდიანი ფოლიანტი, რომელიც ამიერიდან ქართველთა წიგნის მაგიდაზე დაივანებს, სულთნის საჩუქარზე უმჯობესია.

**მურმან თავდიშვილი**

ხელოვანი

**ნიჭიერი პიროვნებები, რომლებიც ერთი ან ორი განშტოებით საქმიანობენ, არც თუ ცოტაა, რაც შეეხება მრავალმხრივი ტალანტით დაჯილდოებულთ, ისინი თითზე ჩამოსათვლელია. ერთ-ერთი მათგანია ბატონი – ჯუმბერ (ჯუბა) ჯანდიერი – კომპოზიტორი, მსახიობი, მწერალი, მხატვარი, მომღერალი და რაც არსებითზე არსებითია, სიკეთის უშურველად გამსხვისებელი.**




# ზღურბლზე სათქმელი

ზოგჯერ ვფიქრობ: დიდ ფეოდალთა მიერ საუკუნეების მანძილზე წვეთწვეთობით დაგროვილი ნიჭის უეცარ ამოფრქვევასთან ხომ არ გვაქვს საქმე? იმასაც დავსძენ: ჯანდიერთა სიმაღლესა და მრავალმხრივ საქმიანობაზე, ორიგინალურად მიგვანიშნებს საგვარეულო ღერბი, მისი სურათი დასტამბული ბატონ ჯუბა ჯანდიერის ერთ-ერთ ბოლო ლექსების კრებულში.

ჯუბა ჯანდიერი, რომელ სფეროშიაც არ უნდა მუშაობდეს, ყველგან ინარჩუნებს ხელწერის სიფაქიზე-ორიგინალობას. მის მსახიობობაზე, უპირველეს ყოვლისა, ტიტული მეტყველებს – საქართველოს სახალხო არტისტი. კარგად მახსოვს, როგორი მაღალი ოსტატობით შეასრულა „დიდოსტატის მარჯვენაში“ მელქისედეკ კათალიკოსის როლი.

ერთ თეატრალს დავესესხები: „ამ ურთულესი პერსონაჟის ხასიათის გახსნით, ჯუმბერ ჯანდიერი დაგვეხმარა კ. გამსახურდიას ჩანაფიქრის ამოცნობაში...“

რა შეიძლება ითქვას ჯუბა ჯანდიერზე, როგორც მხატვარზე? აქაც უპირველეს ყოვლისა, დახასიათების ირიბ გზას ვირჩევ. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი მონაწილეობდა: პარიზის, დიჟონის, ბონის, კიოლნის, ამსტერდამის, პრაღის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის და თბილისის პერსონალურ თუ მხატვართა ჯგუფურ გამოფენებში. მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის გალერეაში.

შეაღებთ ფერმწერის ბინის კარს და ზღაპრულ სამყაროში აღმოჩნდებით. არა მხოლოდ კაბინეტის, არამედ მისაღები ოთახისა და გალერეის კედლებიც სურათებითაა დაფარულ-დამშვენებული. ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს „თეთრი მდუმარება“, „მეუღლის პორტრეტი“ და განუმეორებელი პეიზაჟების მთელი ციკლი. ეს ნახატები, ბატონი ჯუბას სულის აფეთქებებსაც ინახავს, ამიტომაც ლაპარაკობს მათზე ასეთი გზნებით.




ჯუბა ჯანდიერის პოეზიაში კლასიკური მოტივები მძლავრობს. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი. ბუნებით რომანტიკოსი მგოსანი უღრმავდება ყოფნა-არყოფნის პრობლემას და პატრიოტულ გულისძგერასაც მკაფიოდ ავლენს. ლექსთა დიდი ნაწილი მიძღვნითი ხასიათისაა. ეს თვალსაჩინოდ განსაზღვრავს მათ რიტმსა და პანეგირიკის ხასიათს. მთავარი მაინც ის არის, რომ ავტორი ყოველთვის ცდილობს, გულწრფელი დარჩეს. არცთუ იშვიათია მომხიბვლელი სახეები, აფორისტული მიგნებები, მაგალითად:

„უფლისციხესთან ანთებული იდგა წუხილი...“, „ხოხბისფერ ზეცას ადნება მთვარე...“, „არ მიყვარს, როცა მზისკენ სწრაფვაში, ქარს გაურბიან...“ და სხვა. ერთი სიტყვით, გულგრილი ვერ დარჩები ამ უაღრესად ნიჭიერი კაცის პოეზიისადმი.

რაც შეეხება მისი ხელოვნების გვირგვინს:

ბრწყინვალე მუსიკოსი, ცნობილი კომპოზიტორი, ღირსების ორდენოსანი, „ქართული კულტურის ამაგდარი“, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის წევრი. მისი შემოქმედება უკიდეგანოა. ბატონ ჯუბა ჯანდიერის მუსიკა, ღრმად ეროვნულია და ნატიფი, ასევე დავესესხები ერთ-ერთ მუსიკალურ მოღვაწეს: „ჯუბა ჯანდიერი შემოქმედების თითოეული ნერვით სამშობლო ქვეყნის ჭირ-ვარამთან შენივთული კაცია“ – „იგი არის ქართული ესტრადის პატრიარქი...“ ასე ახასიათებენ ჯუბა ჯანდიერს ყველგან, სადაც კარგად ესმით ჭეშმარიტი ხელოვნების ფასი. ამის უტყუარი დადასტურებაა მისი მუსიკალური ნაწარმოებები: „თეთრი რაში არ დაიდგამს უნაგირს“, „ისევ მიჰქრის თეთრი რაში“, „დღეს ილია საქართველოს ლოცავს“, „ერი და მამული იწამეთ ღმერთად“, „დიდი ივერიის ალმაშენებელო“ და მრავალი სხვა. და რაც მთავარია, მან ხომ ერთ-ერთმა პირველმა ააჟღერა თანამედროვეობის უდიდესი პოეტის გალაკტიონის სულის მუსიკა: „მზეო მარიამ“, „უსიყვარულოდ“, „იისფერი თოვლი“, „დაკარგული ოცნება“, „ქარი ქრის“, „მზეო თიბათვისა“, „მთაწმინდის მთვარე“, „მერი“, „შენ და შემოდგომა“, „რომელი საათია?!“, „თეთრი პელიკანი“, „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ და მრავალი სხვა.

დამეთანხმებით, ძნელია ლექსის მუსიკალური ფერისცვალება, მით უფრო, გალაკტიონის შედევრებისა. ბატონი ჯუბა ჯანდიერი დიდი შინაგანი მუსიკალური რიტმითა და ულამაზესი ჰარმონიით, ბრწყინვალედ გადმოსცემს პოეტის ნააზრევს.

საგანგებოდ ჩავუღრმავდი გალაკტიონის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს, რომანსებს, მუსიკალურ კომპოზიციებს, საფორტეპიანო პიესებს და არა მხოლოდ ჰანგებმა მომხიბლა, არამედ ლექსთა ორიგინალურმა გააზრებამაც და ამის გამჟღავნებამ აკორდებში. ყური დავუგდოთ „ქარი ქრის“ მუსიკას, მასში მხოლოდ ბუნების სურათთა ცვლა როდია, ჯუბა ჯანდიერის ყველა ნაწარმოებებში სიღრმისეული ჭვრეტა და განზოგადოება აღიქმება.

ამას წინათ კომპოზიტორის ბინაში მთელი ორი საათი ვუსმენდი გალაკტიონის ლექსებზე დაწერილ ნაწარმოებებს. აი, უკანასკნელი აკორდი: „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ – ეს თხზულება ძალზე ორიგინალურად არის აგებული. ნაწარმოები იწყება ლოცვით, საგალობელს ენაცვლება სიმღერა. უვერტიურა ძალზე ეფექტურია. იგი კომპოზიტორის ღრმა ჩანაფიქრზე მეტყველებს, რომელიც აძლიერებს ლექსის სიღრმეს. ბატონი ჯუბას გაგებით, ხსენებული ლექსი ქართული პოეზიის გვირგვინია. უმაღლესი აკორდი, ეს არის სამშობლო კულტურის წინაშე მუხლის მოხრა, ამიტომაც ლოცვით დაწყება უპრიანზე-უპრიანია.




აღფრთოვანებას ვერ ვმალავ, თან ამგვარ მოსაზრებას გამოვთქვამ: – ხომ არ აჯობებდა, ნაწარმოები ლოცვით რომ მთავრდება, საგალობელს ფონად დადებოდა გალაკტიონის მიერ წაკითხული ლექსის ფრაგმენტი? მაშინ ნაწარმოები კომპოზიტიურად უფრო შეიკვრებოდა და გალაკტიონის ხმაც, ახალ პლასტს შესძენდა ნაწარმოებს.

ბატონი ჯუბა ყურადღებით მისმენს, ვგრძნობ დასკვნებსაც აკეთებს.

უწყვეტი აზროვნება მისი თვისებაა, ყოფითი საქმიანობის ჟამსაც კი მაღალ მატერიებს ეჭიდება.

ეს უფლებას მაძლევს განვაცხადო: რომ მთელი მისი მრავალმხრივი შემოქმედება, ამ დიდი საზოგადო მოღვაწისა, განსაკუთრებით გალაკტიონის ლექსებზე შექმნილი ბრწყინვალე მუსიკალური ნაწარმოებები უდიდესი ნაშრომია, წარმოჩინებული მის ორ ახალ მუსიკალურ ალბომში, რომელსაც კომპოზიტორი უძღვნის გალაკტიონის უკვდავ ხსოვნას და სრულიად საქართველოს...

**ნოდარ ტაბიძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი.

ფეხბურთი

# წაგება, რომელიც მოგებაზე მეტია

გაიმართა „ევრო-2012“-ის ფინალური ტურნირის კენჭისყრა, რომელმაც ელიტური საზოგადოება ასე გაანაწილა.




**„ა“ ჯგუფი (ვარშავა, ვროცლავი). პოლონეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, რუსეთი.**

**„ბ“ ჯგუფი (ხარკოვი, ლვოვი). ჰოლანდია, დანია, გერმანია, პორტუგალია.**

**„გ“ ჯგუფი (გდანსკი, პოზნანი). ესპანეთი, იტალია, ირლანდია, ხორვატეთი.**

**„დ“ ჯგუფი (დონეცკი, კიევი). უკრაინა, შვედეთი, საფრანგეთი, ინგლისი.**

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ფორუმს გაისად 8 აგვისტოდან 1 ივლისამდე პოლონეთი და უკრაინა უმასპინძლებენ, ხოლო ფინალური მატჩი კიევშია დანიშნული.

* * *

**მართლაც რომ, საოცარი სისტემით ტარდება ფეხბურთელთა XXIII ეროვნული ჩემპიონატი. კერძოდ, გათამაშების პირველ ეტაპზე მოგროვებული ქულები მეორე რაუნდში გასულ რვა საუკეთესო გუნდს გაუნახევრდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ, მარტივი არითმეტიკული გათვლების შესაბამისად, ფავორიტს რომელიმე მაჩანჩალასთან თამაშის შეგნებულად დათმობა მომავალში სასიკეთოდ წაადგება. ამაზე იტყვიან, ბუღალტერია სპორტის მტერიაო.**

საბედნიეროდ, ყველა როდი ემონება სიჭინავასეული რეფორმების აზრაკადაბრას. მაგალითად, ვინ უნდა იყოს სხვათათვის სამაგალითო ფეირ-პლეის პრინციპების დაცვაში, თუ არა ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი?

**„დინამო“ – „დილა“ 2:0 (2:0)**

**გოლები:** კოტო (მე-10 წთ), ჯილაური (21-ე წთ).

დამოუკიდებლობის პერიოდში გამართული 42 შეხვედრიდან მასპინძლებმა 38 მოიგეს, ხოლო 4 ფრედ დასრულდა. ბუნებრივია, ალექს გარსიას შეგირდებს აზრადაც არ მოსვლიათ ასეთი ბწყინვალე სტატისტიკის შებღალვა, მით უმეტეს მაშინ, როცა წლევანდელ სათასო ბატალიებში წაფორთხილებისთვისაც მართებდათ ზრუნვა (შეგახსენებთ, რომ ორივე მერვედფინალური მატჩი ფრედ დამთავრდა და გორელებს უპირატესობა მეტოქის მინდორზე გატანილი მეტი გოლის გამო მიენიჭათ).

**დაბოლოს:** თემურ მახარაძე სტუმართა მესამე მწვრთნელია მიმდინარე სეზონში გია ცეცაძისა და რამაზ სოლოლაშვილის შემდეგ, მისი ფაქტორი კი განსაკუთრებულია „თეთრლურჯთათვის“. სწორედ „შოთაევიჩი“ გამოირჩეოდა სხვადასხვა კოლექტივებში მუშაობისას დილმელებთან წარმატებული გამკლავებით, ეს კი XVI ტურის ბრძოლას პრინციპულობას მატებდა.

მოკლედ მოვჭრით: უთანასწორო დუელის ბედი, როგორც საოქმო მონაცემები მოწმობს, მის დებიუტშივე გადაწყდა, ამიტომ მანამდე და მას შემდეგ განვითარებული მოვლენების პერიპეტიებზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

**დანარჩენი შედეგები:** „სიონი“ – „ტორპედო“ 1:3, „მეტალურგი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:0, „კოლხეთი“ – „გაგრა“ 2:3, „ბაია“ – „ცხინვალი“ 1:3. დიდთოვლობის გამო გადაიდო მარტვილის „მერანისა“ და „ზესტაფონის“ შერკინება.

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“, „ზესტაფონი“ – 32-32, „ტორპედო“ – 31, „მერანი“, „მეტალურგი“ – 26-26, „ბაია“ – 23, „გაგრა“ – 18, „ვიტ ჯორჯია“ – 17, „ცხინვალი“ – 16, „კოლხეთი“ – 13, „დილა“ – 11, „სიონი“ – 7 ქულა.

**ბომბარდირები:** ჩისკო („დინამო“), ტატანაშვილი („ზესტაფონი“) – 9-9, დვალი („ზესტაფონი“) – 8 გოლი.

**11 დეკემბერს ითამაშებენ:** „დილა“ – „მერანი“, „დინამო“ – „კოლხეთი“, „ზესტაფონი“ – „სიონი“, „ტორპედო“ – „მეტალურგი“, „ვიტ ჯორჯია“ – „ბაია“, „ცხინვალი“ – „გაგრა“.

* * *

**იტალია.** „იუვენტუსი“ – „ჩეზენა“ 2:0, „ინტერი“ – „უდინეზე“ 0:1, „ნაპოლი“ – „ლეჩე“ 4:2, „ჯენოა“ – „მილანი“ 0:2, „ფიორენტინა“ – „რომა“ 3:0.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ლევანტე“ 5:0, „ხიხონი“ – „რეალი“ 0:3, „ვალენსია“ – „ესპანიოლი“ 2:1, „ატლეტიკო“ – „რაიო ვალეკანო“ 3:1, „მალიორკა“ – „ბილბაო“ 1:1.

**ინგლისი.** „სიტი“ – „ნორვიჩი“ 5:1, „ასტონ ვილა“ – „მანჩესტერი“ 0:1, „ტოტენჰემი“ – „ბოლტონი“ 3:0, „უიგანი“ – „არსენალი“ 0:4, „ნიუკასლი“ – „ჩელსი“ 0:3.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ვერდერი“ 4:1, „გლადბახი“ – „ბორუსია“ 1:1, „შალკე“ – „აუგსბურგი“ 3:1, „შტუტგარტი“ – „კიოლნი“ 2:2, „ჰამბურგი“ – „ნიურნბერგი“ 2:0.

**საფრანგეთი.** „მონპელიე“ – „ლორიენი“ 4:0, „ლიონი“ – „ტულუზა“ 3:2, „ბორდო“ – „ნანსი“ 2:0, „პსჟ“ – „ოსერი“ 3:2, „აიაჩი“ – „ლილი“ 2:3.



**იგი პროფესიით ჯერ ექიმი, ხოლო შემდეგ ფილოსოფოსი იყო და ამ დარგის დოქტორობასაც მიაღწია, მაგრამ საფეხბურთო სამყარომ ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების კაპიტნად გაიცნო, რომლის მაისურითაც 1979-1986 წლებში 60 მატჩში 22 გოლი გაიტანა და ესპანეთისა და მექსიკის „მუნდიალებში“ მიიღო მონაწილეობა. გამოარჩევდა პენალტების ორიგინალური, გამორბენის გარეშე შესრულება.**




**სოკრატესის შთამბეჭდავი საკლუბო კარიერის ფურცლები „ბოტაფოგოში“, „კორინტიანსში“, „ფლამენგოსა“ და „სანტოსში“ გადაიშალა, ხოლო ევროპაში ფლორენციის „ფიორენტინას“ უკავშირდება (1984-1985 წლებში).**

**სამხრეთამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური მოთამაშე 6 შვილის მამა იყო. იგი 57 წლისა კუჭ-ნაწლავის დაავადებით გარდაიცვალა.**

კალათბურთი

# „ჯვაროსნები“ — ევროპულ ორბიტაზე

**როგორც იცით, წლევანდელ ლიტვურ „ევრობასკეტზე“ წარმატებით გამოსვლის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების აქციებმა საერთაშორისო სარბიელზე საგრძნობლად მოიმატა. დასტურად „ევრო – 2013“-ის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა გამოდგება, სადაც იგორ კოკოშკოვის გუნდი პირველ კალათაში განთესეს.**



**მომავალი ფორუმის დასკვნით რაუნდს სლოვენია უმასპინძლებს, ხოლო გერმანიის პატარა ქალაქ ფრაიზინგში მოწყობილმა წილისყრამ კონტინენტის 31 გუნდი ასე გაანაწილა.**

**„ა“ ჯგუფი. სერბეთი, ისრაელი, ესტონეთი, სლოვაკეთი, ჩერნოგორია, ისლანდია.**

**„ბ“ ჯგუფი. გერმანია, ბულგარეთი, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, შვედეთი.**

**„გ“ ჯგუფი. ხორვატეთი, უკრაინა, ავსტრია, კვიპროსი, უნგრეთი.**

**„დ“ ჯგუფი. საქართველო, ბოსნია, ჰოლანდია, რუმინეთი, ლატვია.**

**„ე“ ჯგუფი. ფინეთი, პოლონეთი, შვეიცარია, ალბანეთი, ბელგია.**

**„ვ“ ჯგუფი. თურქეთი, იტალია, ჩეხეთი, ბელარუსი, პორტუგალია.**

აქვე გაუწყებთ, რომ საკვალიფიკაციო მატჩები 15 აგვისტოდან 11 სექტემბრის ჩათვლით მიმოსვლით, ორ წრედ ჩატარდება, ხოლო სლოვენიაში თამაშის უფლებას თითოეული ჯგუფიდან ორ-ორი უძლიერესი მოიპოვებს.

მომავალ ბრძოლებში, ბუნებრივია, მნიშვნელობა თითოეულ ნიუანსს ენიჭება, ამიტომ ამთავითვე ერთგვარ შეღავათად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ჩვენი თანამემამულენი თბილისის სპორტის სასახლეში გამართავენ როგორც სასტარტო (რუმინეთთან), ისე დასკვნით (ჰოლანდიასთან) შეხვედრებს.

ალბათ, დაგაინტერესებთ საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მომავალ მეტოქეთა ვინაობაც ევროპირველობის შესარჩევ ეტაპზე. აი, ისინიც.

**16-წლამდელები („ბ“ დივიზიონი, „გ“ ჯგუფი, 19-29 ივლისი, ბუქარესტი, მწვრთნელი გია კაზანჯიანი). საქართველო, რუმინეთი, ჩერნოგორია, ბოსნია, ესტონეთი.**

**18-წლამდელები („ბ“ დივიზიონი“, „დ“ ჯგუფი, 9-19 აგვისტო, სარაევო, მწვრთნელი მიხეილ ბერუაშვილი). საქართველო, ბოსნია, პორტუგალია, ჰოლანდია, ბელგია.**

**20-წლამდელები („ა“ დივიზიონი“, „გ“ ჯგუფი, 12-22 ივლისი, ლიუბლიანა, მწვრთნელი დავით უსტიაშვილი). საქართველო, ესპანეთი (ევროპის მოქმედი ჩემპიონი), ლატვია, თურქეთი.**

* * *

**სუპერლიგის VIII ტური.** „ქუთაისი“ – „სამედიცინო“ 86:84, „ოლიმპი“ – „ბათუმი“ 82:74, „სოხუმი“ – შსს 93:82 (ფაცაციამ ზღვისპირელებს 35 ქულა მოუტანა, ხოლო ფარლალავამ – 23), „არმია“ – „რუსთავი“ 81:49, თსუ – სტუ 67:57. ისვენებდა „დინამო“.

**სატურნირო ცხრილში სადღეისოდ ასეთი მდგომარეობაა:** „არმია“, „ქუთაისი“ 7-7, „ოლიმპი“, „სოხუმი“ – 6-6, შსს, სტუ, თსუ, „დინამო“, „სამედიცინო“ – 3-3, „ბათუმი“, „რუსთავი“ – 0-0 მოგება.

* * *

**დღეს. 18 საათი. თბილისის სპორტის სასახლე. ევროჩელენჯის ჯგუფური რაუნდი. V ტური. „არმია“ – „ბეშიქთაში“ (სტამბოლი).**

* * *

იტალიის ჩემპიონატის IX ტურში საბენეფისო მატჩი ჩაატარა ბოლონიის „ვირტუსის“ ქართველმა ლიდერმა ვიქტორ სანიკიძემ. მან „სასარისთან“ მოგებულ ბრძოლაში – 85:80 პარტნიორებს 36 წუთში 27 ქულა და 16 მოხსნა შეაწია. ბუნებრივია, იგი დამსახურებულად აღიარეს „სერია – ა“-ს ტურის საუკეთესო მოთამაშედ.



იმავე დღეს სიენაში გაიმართა ევროლიგის მონაწილეთა ცენტრალური დუელი „მონტეპასკი“ – „კანტუ“, რომელშიც მასპინძლებმა იმარჯვეს – 73:64. დამარცხებულთაგან „ჯვაროსანთა“ პირადი მონაგარი ასეთია: მანუჩარ მარკოიშვილი – 17 წუთში 9 ქულა და 2 მოხსნა, გიორგი შერმადინი – 15 წუთში 4 ქულა და 4 მოხსნა.

ძიუდო

# ავსტრიელის ოინები

**ძიუდოისტთა ეროვნული ჩემპიონატის დღეებში ქვეყნის ნაკრების ავსტრიელმა თავკაცმა პეტერ ზაიზენბახერმა ჩვენი გუნდის ლიდერები იაპონიაში წალალა. ვერაფერს იტყვი – ლონდონის ოლიმპიადის გადამწყვეტი სარეიტინგო ტურნირების წინ ორიგინალური ნაბიჯი გადაიდგა.**

შინაური ბატალიებისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო მხოლოდ საპატიო კვარცხლბეკის გაცნობით შემოვიფარგლებით.

**60 კგ.** პაატა მერებაშვილი, იოსებ ნიჟარაძე, გიორგი მესაბლიშვილი, ვაჟა მარგველაშვილი.

**66 კგ.** სანდრო იაკობაშვილი, მინდია ლილუაშვილი, არკადი ავალიანი, ლაშა შავდათუაშვილი.

**73 კგ.** ამბაკო ავალიანი, ზურაბ ნოზაძე, ზებედა რეხვიაშვილი, გიორგი გასიტაშვილი.

**81 კგ.** ლევან წიკლაური, გიორგი ბაინდურაშვილი, დავით კარბელაშვილი, პაატა ღვინიაშვილი.

**90 კგ.** ლაშა გურული, გიორგი ნოზაძე, გიორგი მერმანიშვილი, ბექა ნავერიანი.

**100 კგ.** ირაკლი ქობლიანიძე, დავით ლორიაშვილი, ბექა ბერძენიშვილი, ონისე ბულაძე.

**აბსოლუტური წონა.** ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი, ლევან მატიაშვილი, სლავა რეზესიძე.



**გუნდური ჩათვლა:** ქვემო ქართლი (2 ოქრო, 2 ვერცხლი, 4 ბრინჯაო), შიდა ქართლი (1, 1, 4), თბილისი (1, 1, 3).

ჩოგბურთი

# მოიგო და წავიდა



**აუხდენელი დარჩა დავიდ ნალბანდიანის ოცნება – არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში მან დევისის თასის გათამაშებაში მეოთხედფინალი წააგო, ამჯერად სევილიაში ესპანეთთან – 1:3. ეს პირენეელთა მეხუთე ტრიუმფია.**

მათ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა რაფაელ ნადალმა, რომელმაც ერთეულთა თანრიგში ხუან მონაკოსაც სძლია (3 პარტიაში) და ხუან მარტინ დელ პოტროსაც (4 პარტიაში).

კიდევ ერთი ქულა მასპინძლებს დავიდ ფერერმა მოუტანა, ხოლო სამხრეთამერიკელებს პრესტიჟი ნალბანდიან-შვანკის დუეტმა გადაურჩინა, რომელმაც ლოპეს-ვერდასკოს წყვილს სძლია.

**და ბოლოს:** შეხვედრის დასრულებისთანავე ნადალმა სანაკრებო კარიერის დასრულებაზე განაცხადა.



# უხამსი რეკლამა... კაპუცინებისთვის

**სტარტი აიღო მსოფლიოში პირველმა სარეკლამო კამპანიამ... მაიმუნებისთვის!**

**მეცნიერებმა გადაწყვიტეს იმის გარკვევა, თუ რამდენად შეუძლიათ საგანგებოდ დამუშავებულ პლაკატებს, აიძულონ ცხოველები ამა თუ იმ საქონლის არჩევა, ექნებათ თუ არა ისეთივე რეაქცია, როგორიც ადამიანებს აქვთ.**

## მაიმუნების საბაზრო ურთიერთობანი

**თუკი პრიმიტიულმა შრომამ მაიმუნისგან მართლაც შექმნა ადამიანი, მაშინ რა ძალა შესწევს „ვაჭრობის მამოძრავებელს" – რეკლამას? ამ ორიგინალურ კითხვაზე პასუხის მიღებას იელის უნივერსიტეტის მეცნიერები ქეით ოლველი, ელიზაბეტ კაიჰნერი და ლაურა სანტოსი აპირებენ. პირველი ორი ქალბატონი რეკლამის სპეციალისტია, მესამე კი პრიმატოლოგი, რომელიც ცხოველთა მოქცევის შესწავლით ადამიანის გონების ევოლუციის თავისებურებათა გარკვევას ცდილობს, სურს იმის გარკვევა, თუ რა და რამდენი დარჩა მასში მაიმუნისა. მას ასევე უნდა იმის დადგენა, თუ რა ინსტინქტები და ჩვეულებანია ჩადებული ადამიანში გენეტიკურად და რომლებია მათ შორის სოციალურ გარემოში შეძენილი.**

უნდა ითქვას, რომ ცხოველთა სამყაროს და ადამიანის ესოდენ ფუნდამენტურ საიდუმლოებათა რეკლამის მეშვეობით გარკვევის იდეა აქამდე აზრად არავის მოსვლია, ამდენად იელის უნივერსიტეტის მეცნიერები ამ საქმეში პიონერები არიან. ერთ ჯგუფად შეკვრის შემდეგ **მათ მხოლოდ მაიმუნებზე გათვლილი „არაადამიანური" სარეკლამო კამპანია შეიმუშავეს.** მათი ექსპერიმენტის ობიექტები მეტად საზრიანი მურა კაპუცინები გახდებიან. კაპუცინებთან ექსპერიმენტების ჩატარების თაობაზე ცნობილი რეკლამის საერთაშორისო ფესტივალზე „კანის ლომები" გახდა.

მეცნიერებს წარმატების იმედი აქვთ, რის **საფუძველს კოლეგების გამოცდილება აძლევთ, რომლებმაც კაპუცინებს... ფულის გამოყენება ასწავლეს.** ეს, თვალის ერთი გადავლებით, მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისება, მაიმუნებს იტალიის კოგნიტიურ მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერებმა შთაუნერგეს. ექსპერიმენტის შედეგად, მაიმუნებმა ადამიანებისგან ნუგბარის... **ყიდვა დაიწყეს! ფულის როლს ამ დროს ჟეტონები ასრულებდნენ. ცხოველებმა მშვენივრად შეიგნეს: რაც უფრო გემრიელია ნუგბარი, მით უფრო ძვირია იგი. და, შედეგად, ყურძენში ან არაქისში მეტ ჟეტონს იხდიდნენ, ვიდრე, ვთქვათ, ყველის ნაჭერში.**



– კაპუცინებმა გვაჩვენეს, რომ სიმბოლოებით ოპერირების განსჯის უნარი გააჩნიათ, – ამბობს კვლევის ხელმძღვანელი ელზა ადესი. – ამ დონის სიმბოლური აზროვნება კი შემდგომ ადამიანებს შორის ფულად ურთიერთობათა ჩამოყალიბებას დაედო საფუძვლად.

## ახლა კი რეკლამის ჯერია

**მომავალი სარეკლამო კამპანიის მიზანია აიძულონ კაპუცინები ერთ რომელიმე საქონელს მიეძალონ. კონკრეტულად კი აირჩიონ ის, რომელსაც დიდი რეკლამა აქვს. მაიმუნებისთვის განკუთვნილი რეკლამა მარტივია – ესაა მათ გალიებში გამოფენილი პლაკატები, საქონელია ხილის ორი – A და B სახეობის ჟელე. ორივე ჟელე კაპუცინებისთვის ახალია და გემოთი ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება, თუმცა კი სხვადასხვა ფერი აქვთ. A-ს რეკლამა უჭერს მხარს, B-ს – არა.**

– თავდაპირველად მაიმუნებს მხოლოდ პლაკატების ცქერით შემოვფარგლავთ, – ამბობს ქეით ოლველი. – მერე ორივე სახეობის ჟელეს შევთავაზებთ, ვნახოთ, რომელს აირჩევენ. იმედი გვაქვს, რომ იმას, რომელსაც რეკლამა აქვს, რითაც დავამტკიცებთ, რომ იგი მართლაც ქმედითია.

მკვლევარები აღიარებენ, რომ „არაადამიანური" ბანერების შექმნას გარკვეული სპეციფიკა ახლავს. ამის მიზეზი ისაა, რომ მაიმუნებს არა აქვთ სამეტყველო ენა, კულტურული უნარ-ჩვევები, უჭირთ გონების კონცენტრირება, ხოლო თუ ამის გაკეთებას მაინც ახერხებენ, მხოლოდ მოკლე დროით.

მეცნიერებმა ჟურნალისტებს საგანგებოდ მაიმუნებისთვის შექმნილი ორი სარეკლამო პლაკატი აჩვენეს, მაგრამ ფოტოების გადაღების ნება არ მისცეს, თუმცა მათი სიტყვიერად აღწერის წინააღმდეგი არ წასულან. ამდენად **ცნობილია, რომ პირველ პლაკატზე დაუფარავი პორნოგრაფიაა: A საქონელი დემონსტრირებულია მდედრი კაპუცინის ფონზე, რომელიც თავის სასქესო ორგანოთა დემონსტრირებას ახდენს. მეორე პლაკატი კი სექსუალური კონტექსტის გარეშეა: A საქონელი კაპუცინის ალფა-მამრის გვერდით დევს, რომელსაც ყველა მდედრი კაპუცინი შენატრის.**

– ჩვენი აზრით, ყველაზე მიმზიდველი მომენტები შევარჩიეთ, – განაგრძობს მის ოლველი. – წინა ექსპერიმენტებში მდედრი მაიმუნები დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ ალფა-მამრების ფოტოებს, მამრებს კი მდედრების უხამსი ფოტოები იზიდავდა, რომლებზეც მათი გენიტალიები ჩანდა.

როგორც ჩანს, რეკლამა თავისას იზამს, ყოველ შემთხვევაში მეცნიერებს ამის იმედი აქვთ. მაგრამ, მაინც რის მოწმობა იქნება „დადებითი" შედეგი? მხოლოდ იმის, რომ რეკლამას დიდი ტვინი არ სჭირდება? თუ იმასა, რომ აბეზარა შეთავაზებებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა, რადგან ისინი ინსტინქტებზე ახდენენ ზემოქმედებას? ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, თუმცა მეცნიერები, ალბათ, ყველაფერს ახსნიან.

**დალი ხუნდაძე**

## ⊙ ჩვენი კარაბადინი





### ხანდაზმულობა იანსის მიხედვით

**ყოველ ადამიანს აქვს 90 პროცენტის შანსი, გახდეს ხანდაზმული. ამისთვის საჭიროა დავიცვათ 7 წესი:**

1. ვიცხოვროთ აქტიური ცხოვრებით. ისინი, ვინც ამჯობინებენ მუშაობის შემდეგ ოფისში დაისვენონ დივანზე, ორჯერ მეტ რისკს ეწევიან, მიიღონ გულისა და ინსულტის დაავადებანი.
2. გავაკონტროლოთ ქოლესტერინის დონე.
3. ზუსტად ვიკვებოთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მივიღოთ მეტი ოდენობის ახალი ბოსტნეული, ხილი.
4. გავაკონტროლოთ არტერიული წნევა.
5. ვებრძოლოთ ზედმეტ წონას.
6. ვაკონტროლოთ შაქრის დონე სისხლში.
7. არ მოვწიოთ.

### ჭამისა და გასუქების მოთხოვნილება

**ზედმეტი კილოგრამები, რომლებიც დავიკელით დიეტის დახმარებით, გვიბრუნდება ჰორმონების გამო და არა დისციპლინის არარსებობის გამო. ჰორმონები აიძულებენ ადამიანს ჭამონ ბევრი.**

ავსტრალიელმა მეცნიერებმა მოახდინეს გამოკვლევა 50 პაციენტის მონაწილეობით, რომლებსაც სიმსუქნე აწუხებდათ. მოხალისეები ათი კვირის განმავლობაში მკაცრ დიეტაზე იმყოფებოდნენ, რომლის დროსაც თითოეულმა მონაწილემ დაიკლო საშუალოდ 14 კილოგრამი. მაგრამ, მიუხედავად ასეთი წარმოუდგენელი წარმატებისა, უკვე ერთი წლის შემდეგ გამოსაცდელებს დაუბრუნდათ საშუალოდ 5,5 კილოგრამი თითოეულს.

მეცნიერებმა სისხლის შემადგენლობაში შეამოწმეს 9 ცნობილი ჰორმონი, რომლებიც გავლენას ახდენენ მადაზე, და აღმოაჩინეს, რომ დიეტის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგაც კი 6 ჰორმონი ძველებურად აიძულებდა ადამიანს, მუდმივად იგრძნოს შიმშილის გრძნობა.

### საჭიროა დალევა

**ალკოჰოლის მომხმარებელ ქალებს ეზრდებათ შანსი, იცოცხლონ მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ.**

ჰარვარდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გამოკითხეს 1,2 ათასზე მეტი ქალი, რომლებმაც გადაიტანეს ინფარქტი, მათი ცხოვრების სტილის თავისებურებათა შესახებ. გამოკითხვის შედეგების მიხედვით მონაწილეები დაყვეს სამ ჯგუფად: ვინც არ სვამს, ვინც ალკოჰოლის 1-დან 3-მდე სტანდარტულ დოზას ღებულობს (დაახლოებით 14 გრამი სუფთა სპირტზე გადაანგარიშებით) კვირაში და ვინც კვირაში სამ სტანდარტულ დოზაზე მეტს სვამს. ამის შემდეგ მათზე ხდებოდა დაკვირვება, მინიმუმ ათი წლის განმავლობაში.

ყველაზე მეტ მსმელთა შორის მეთვალყურეობის დროს გარდაიცვალა ქალების 18 პროცენტი, ზომიერად მსმელთა ჯგუფში – 25 პროცენტი, ხოლო არამსმელთა შორის ამ მაჩვენებელმა 44 პროცენტს მიაღწია. სპირტიანი სასმელების მოხმარებამ სიკვდილის ალბათობა ინფარქტის შემდეგ 35 პროცენტამდე შეამცირა.

### ხელოვნური სისხლი



**სისხლს, რომელიც მიიღეს ტანის უჯრედებიდან, ბრიტანელი მეცნიერები აპირებენ გამოსცადონ ადამიანებზე. თუ ექსპერიმენტი წარმატებით დამთავრდა, ასეთ სისხლს ფართოდ გამოიყენებენ გადასხმის დროს.**

სპეციალისტებმა შექმნეს უნივერსალური სისხლი – ნულოვანი ჯგუფი უარყოფითი რეზუსით. ეს სისხლი მისადაგებულია ადამიანთა 98 პროცენტისთვის.

**გამოკითხვა**

**რისი გეშინიათ?**

**30 პროცენტი – ახლობლების დაკარგვის**
**20 პროცენტი – დაავადების**
**16 პროცენტი – უფულობის.**
**10 პროცენტი – სიკვდილის.**
**9 პროცენტი – სამუშაოს დაკარგვის.**
**8 პროცენტი – არაფრის მეშინია.**
**7 პროცენტი – ოჯახის დაშლისა.**
**სულ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 2355 კაცმა.**

ЗДОРОВЬЕ

## ⊙ ინფორმაცია

### პატიმრობა მიუსაჯეს

**რუსეთში, სამარის ოლქის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს 38 წლის მოქალაქეს მინდია ლიპარტელიანს 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

**რუსული მედიის ცნობით, ლიპარტელიანი სასჯელს მკაცრი რეჟიმის გამოსასწორებელ კოლონიაში მოიხდის.**

ლიპარტელიანი, თანამზრახველებთან ერთად, 2004 წელს მეწარმე ავანესიანის სახლზე შეიარაღებულ თავდასხმაშია ბრალდებული. ნიღბიანმა თავდამსხმელებმა ორი პისტოლეტით დაცხრილეს ოჯახის უფროსი, მისი მოხუცი დედა და 16 წლის ვაჟი, რომელიც მიყენებული ჭრილობებისგან ადგილზე გარდაიცვალა.

მინდია ლიპარტელიანი ბრალდებულია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლით. დანაშაულის თანამონაწილეებს, გურეშიძესა და გაბიძაშვილს კი, შესაბამისად, 13 და 10 წლით პატიმრობა შეეფარდათ.

2005 წელს სასამართლომ დაკავებული ქართველები გაამართლა და პატიმრობიდან გაათავისუფლა. ამის შემდეგ ისინი მიიმალნენ. თუმცა, რუსეთის უზენაესმა სასამართლომ წინა ინსტანციის გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე განხილვაში დააბრუნა.

ლიპარტელიანი და გაბიძაშვილი ამჟამად ფედერალურ ძებნაში იმყოფებიან.

**ინტერპრესნიუსი**

თენგიზ ქავთარაძე, თემურ მურღულია, ზაურ ფხალაძე, ზურაბ მსხვილიძე ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნოდარ და მარინა ბოლოთაშვილებს დედის

**ნადია ზაქარიას ასული ლომსაძე-ბოლოთაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის 156 ჯგუფის 1950 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალათ თანაჯგუფელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ღვაწლმოსილი მშენებელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული და ჩვენი საძმოს უსაყვარლესი მეგობარი

**ოთარ რამიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს. მსუბუქი იყოს შენთვის, ჩვენო მეგობარო, შენი სათაყვანებელი ქართული მიწა.

---

დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ ნინო ცისკარიშვილს მეუღლის, ბატონ

**იოსებ (სოსო) ცისკარიშვილის**

გარდაცვალების გამო.

**ნომრის კარიკატურა**



– რას კითხულობ, შვილო, ასე თავგამოდებით?
– „ათასი და ერთი ღამეა", ბაბუ.
– ვა, ათასი ერთ ღამეში, რა სასტუმროა ასეთი?

ამირან ერაძის ნახატი.

„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

⊙ მიმართვა მკითხველისადმი

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ გაჯიხურებულ-გაჯახირებული ხელისუფლებისგან

დღეს, როცა ხელისუფლება საგაზეთო ჯიხურებს დაერია და ბეჭდური მედიის გავრცელება სრულიად გამიზნულად(!!!) კიდევ უფრო შეიზღუდა, განსაკუთრებული ფასი დაედო გაზეთებზე ხელმომწერთა სიმრავლეს.



ტრადიციული პრესის, თქვენთვის სასურველი ნებისმიერი გაზეთის ბედი ახლა თქვენს აქტიურობასა და თანადგომაზეა დამოკიდებული. ყველაფერთან ერთად, ეს ჩვენი საერთო პრესტიჟის საქმეცაა — ქართული პრესის მოძულე ხელისუფლება ოპოზიციური, პრინციპული, სამართლიანი გაზეთების დამცრობა-გაკოტრებით არ უნდა გავახაროთ!

მრავალრიცხოვანი ხელმომწერი, ბევრი გონიერი მკითხველი ჩვენი სულიერი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

განსაკუთრებული ჟამი გვიდგას. ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა“, შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკოლებს, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

**შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: მაცნე – 2 37 61 53; პლანეტა ფორტე – 2 93 38 75; საქპრესა – 2 51 59 05; პრეს-ექსპრესი – 2 96 23 11; ჯეომედია – 2 95 51 70; ელვასერვისი – 2 38 80 02; ინფო-2007 – 2 34 11 40; პრესა+ – 2 14 23 97; პილონი – 2 34 77 43.**

**რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.**

**ხელმოწერის ფასია 10 ლარი – ერთი თვით, 30 ლარი – სამი თვით, 60 ლარი – ექვსი თვით, 120 ლარი – ერთი წლით.**

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და გაზეთი ავაღორძინოთ!

**გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ – თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!**

**ხელმოწერა დაუბრკოლებლად შეგიძლიათ გააფორმოთ უშუალოდ რედაქციის ოფისში – გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელეფონი: 2 99 62 77.**

**ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი**

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

**ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..**

⊙ სულიერება

## შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა



**...ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის დღესასწაული ხუთი დღე კიდევ გაგრძელდება – 9 დეკემბერს კი ამ დღესასწაულის წარგზავნით გასრულდება ეს ზეიმი.**

ცნობილია, რომ 3 წლის მარიამ ღვთისმშობლის მშობლებმა – იოაკიმემ და ანამ ღვთისთვის მიცემული აღთქმის შესრულება გადაწყვიტეს: დაიბარეს ნათესავები, საუკეთესო ტანსაცმლით შემოსეს ქალწული და გალობითა და ანთებული სანთლებით მიიყვანეს იერუსალიმის ტაძარში... ტაძარში მას მღვდელმთავარი ზაქარია შეეგება მღვდელმსახურებთან ერთად; ღვთის მადლით ფრთებშესხმულმა ყრმამ თხუთმეტი საფეხური სწრაფად აირბინა და საყდარში შევიდა.

ნეტარი ასული – მარიამი, მღვდელმთავარმა წმიდათაწმიდაში შეიყვანა, სადაც მარიამი დამკვიდრდა. იგი იქ გამუდმებით ლოცულობდა, გულმოდგინედ კითხულობდა წინდა წერილს, ხელსაქმობდა და სნეულებს ემსახურებოდა.

აი, როგორ განადიდა ეს დღესასწაული საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ:

„ყოვლადწმიდა ტაძარში მაცხოვრისა, დღეს შეიყვანების ტაძრად უფლისა, და მადლსა თანა შეიტანს სულისა წმიდისასა, რომელსა უგალობენ ანგელოსნი ღვთისანი, რამეთუ ესე არს კარავი იგი ზეცათა“.

**გიული ლიპარტია**

### მადლობა

დარია თოდაშვილი დიდ მადლობას უხდის თბილისის მე-5 კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს, ბატონ ნოდარ ხმალაძეს, ქირურგს, ბატონ მამუკა ოთიაშვილს და მთელ მედპერსონალს მისდამი გამოჩენილი ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის.

### განცხადება

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.**

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

– რა გჭირს, პეტკა, რად ჩამოგტირის ცხვირ-პირი?
– ცოლს საყვარელთან წავასწარი.
– ღმერთო, ალბათ ორივე დახოცე, არა?
– არა, მაგრამ ისე მაგრად გამოვიჯახუნე კარები, ცოლი უთუოდ მიხვდებოდა, როგორი აღშფოთებულიც ვარ.

* * *

– რატომ ამბობენ გოგოებზე, რომ მათ იპყრობენ?
– იმიტომ, რომ ხშირად გოგოზე ასოცება უფრო რთულია, ვიდრე ევერესტზე.



ყველაფერი მქონდა... სახლი კანარის კუნძულებზე, წითელი ლამბორჯინი... კარგი ანგარიში ბანკში... მყავდა მსახურები, საყვარელი და ცოლი, რომელიც პრობლემებს არ მიქმნიდა... ჰოდა, რა ჯანდაბისთვის დარეკა ამ მაღვიძარამ???

* * *

– გოგონი, შეიძლება, რომ გაგეცნოთ?
– არა.
– რატომ?
– იმიტომ, რომ მე მოვიწყენ, თქვენ კი ვერაფერს მიხვდებით.
– რატომ???
– იმიტომ, რომ მე უკვე მოვიწყინე, თქვენ კი ვერაფერს მიხვდით!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24